საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 15 (559) შაბათი, 26 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

როგორც აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს 23 იანვარს დღის განმავლობაში, როგორც გუმისთაზე, ასევე ოჩამჩირის რაიონში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. ადგილი ჰქონდა მხოლოდ ცალკეულ სროლებს. 21 საათისათვის ოჩამჩირის რაიონში სოფელ ტამიშის ზემოთ არსებულ ჩვენს პოზიციებს შემოუტიეს აფხაზთა ბოევიკებმა, მაგრამ მათი შეტევა მოგერიებულ იქნა, ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ არის.

23-24 იანვრის ღამემ აფხაზეთში ასევე, შედარებით მშვიდად ჩაიარა.

24 იანვრის დილით კვლავ სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. 12 საათისათვის კი მოწინააღმდეგემ დაიწყო შრომა-კამანის მიდამოებში ჩვენი პოზიციების დაბომბვა, რაც მალევე შეწყდა. ამის შემდეგ, როგორც დღემ ასევე 24-25 იანვრის ღამემ მშვიდად ჩაიარა. მდინარე გუმისთაზე და ოჩამჩირის რაიონში სიმშვიდე 25 იანვრის დილითაც იყო შენარჩუნებული.

იოსებ გოგეჩია.

⊙

სოხუმი, 25 იანვარი. (იტარ-საკდესის უშტატო კორესპონდენტი თენგიზ პაპკორია). მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალებით გადმოცემულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ დღემდე გაურკვეველია გულრიფშის რაიონის მაღალი მთის სოფელ საკენის შიდამთებში, რომელსაც აკონტროლებს ქართული მხარე, იძულებით დამჯდარი რუსეთის მი-8 ვერტმფრენის მგზავრთა შორის მყოფი უკრაინელი ჟურნალისტის ვლადიმერ პერსიანოვის ბედი, რბილად რომ ვთქვათ, სოხუმის საზოგადოებრიობის გაკვირვება გამოიწვია.

როგორც ცნობილი გახდა იტარ-საკდესის კორესპონდენტისათვის. უკვე 20 იანვარს სოხუმის კომენდატურამ გაათავისუფლა 35 წლის უკრაინელი. სხვათაშორის, იგი, ხარკოვის ფოტო-პრესის თანამშრომელი, რომელიც მუშაობს აგრეთვე მთელი რიგი უცხოეთის ფოტოსააგენტოებისათვის, გაფრინდა ქალაქ გუდაუთაში, საიდანაც სამშობლოში დაბრუნდება.

ადმინისტრაციულ და სამხედრო წრეებთან დაახლოებულ პირთა მონაცემებით, მი-8 რუსეთის ვერტმფრენში მყოფი სამი აფხაზი ჟურნალისტიც შესაძლოა, მალე გაათავისუფლონ.

რუსეთის რადიოს ცნობით, გუშინ დილით რუსეთის სამი ვერტმფრენი უნდა გაფრენილიყო სოჭიდან ტყვარჩელში. შეთანხმება ამის შესახებ მიღწეულ იქნა გუშინ საქართველოს, რუსეთისა და აფხაზეთის მხარეებს შორის ორდღიანი მოლაპარაკების შედეგად. შეთანხმების პირობების თანახმად ტყვარჩელში ჩაიტანენ მხოლოდ კვების პროდუქტებს და მედიკამენტებს, ხოლო ტყვარჩელიდან გამოიყვანენ ავადმყოფებს, მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს.

სოხუმში იმყოფებოდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შეხვდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს. საუბრის დროს განიხილეს აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების გზები.

„კონტაქტი“.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

რეპორტაჟი ომიდან

საბრძოლველად მიდიან „ავღანელები“



ეს ბიჭები, აქ, ეგრეთ წოდებული ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში მოსვლამდე, ავღანეთში, პლანეტის სხვა „ცხელ წერტილებში“ იბრძოდნენ. მათ ინტერნაციონალისტ მეომრებს უწოდებდნენ და თავიანთი ნება-სურვილით როდი სწირავდნენ თავს უცხო ცის ქვეშ.

— დღეს აფხაზეთში დისლოცირებული ავღანეთის და სხვა ლოკალური ომების მონაწილეთა სპეციალური დანიშნულების ქვეგანაყოფები, — თქვა ბატალიონის მეთაურმა გურამ ჯანიაშვილმა, — იბრძვიან იქ, სადაც განსაკუთრებული დაძაბულობაა. მათ ეხმარება სამშობლოდან შორს ბრძოლებში შეძენილი გამოცდილება და, რაც მთავარია, მხურვალე სურვილი იმისა, რაც შეიძლება სწრაფად მოუღონ ბოლო ამ უაზრო ომს. ისინი იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მთლიანობის, სამართლიანობისა და სიმართლისათვის.

ეს ფოტორეპორტაჟი ოჩამჩირის რაიონში მოამზადა საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს სპეციალურმა ფოტოკორესპონდენტმა გურამ მგალობლიშვილმა.

სურათებზე: ეს „ავღანელი“ სოხუმის მკვიდრი ზაურ ბრეგვაძეა, რომელმაც თავი ისახელა სოფელ კინდღთან ბრძოლაში; მეომარი „ავღანელები“ ოჩამჩირის რაიონში; მერაბ მიქაბაძე (მარჯვნივ) კინდღთან ბრძოლაში.

25 იანვრის რადიოინტერვიუ

ედუარდ შევარდნაძე: რაც შეუძლია, საქართველომ ის წვლილი უნდა შეიტანოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობათა გაუმჯობესების საქმეში

გუშინ, 25 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ტრადიციული ინტერვიუ მისცა საქართველოს რადიოს კომენტატორს ნატო ონიანს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

— გასული კვირის მოვლენათაგან, მთავარი თქვენი ვიზიტი იყო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. კომუნიკესა და დეკლარაციაში, რომლებსაც ხელი მოაწერეთ, ნათქვამია, რომ მხარეები იზრუნებენ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისათვის, ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნულ მმართველობათა შენარჩუნებისათვის. მათში ხაზგასმულია კავკასიის რეგიონის დიდი მნიშვნელობა და ნათქვამია, რომ მხარეები ხელს შეუწყობენ საქართველოში სპარსული, ხოლო ირანში ქართული ენის სწავლებას. აქვე გვინდა გამოვყოთ ორი მუხლი, კერძოდ, მეთერთმეტე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ მხარეებს აქვთ უფლება, განსაზღვრონ მჭიდრო და კონსტრუქციული გზით, კასპიისა და შავი ზღვების სატრანსპორტო მაგისტრალებით დაკავშირების პერსპექტივები და შექმნან ამ სატრანსპორტო მარშრუტის გამოყენების შესაძლებლობება. ამასთან, ორივე მხარე გამოთქვამს სურვილს, რომ შავი ზღვა გამოცხადდეს მშვიდობის, ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალ ზონად. ჩვენ გვახსოვს, რომ უფრო ადრე, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური კავშირი შეიქმნა. ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ საქართველომ საერთაშორისო დონეზე განამტკიცა თავისი უფლებები შავ ზღვაზე?

— თქვენს კითხვაში ბევრ საკითხზე თავისთავად უკვე არის პასუხი გაცემული. ვიზიტის მნიშვნელობაზე, ალბათ, მექნება საშუალება პარლამენტში ვილაპარაკო. ვფიქრობ, ამ ვიზიტის მნიშვნელობა გასცდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ფარგლებს და მან უფრო ფართო, უფრო გლობალური მნიშვნელობა შეიძინა. რეგიონულ და უფრო ფართო წრის პრობლემებზე გამართულმა ამ დიალოგმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ვიზიტის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ ვიზიტმა დასაბამი მისცა საქართველოს ახალ მისიას, საქართველოს ადგილს შავი ზღვის, კასპიის ზღვის და სპარსეთის ყურის რეგიონში. და არა მარტო ამ რეგიონში, ჩვენს წინაშე გადაშალა სხვა პერსპექტივაც. ჩვენ შავიზღვისპირა ქვეყანა ვართ და ამ ვიზიტის შედეგების საფუძველზე მას სხვა წინგადადგმული ნაბიჯებიც უნდა მოჰყვეს. მე იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენ საჭირო ვხდებით კასპიის ზღვისათვის, კასპიის ზღვა კი საჭირო ხდება ჩვენთვის. ამას ალბათ, ყველა ჩვენი მოქალაქე მომავალში უფრო მეტად შეიგრძნობს და გაიგებს, რომ სპარსეთის ყურეში გასვლა — ეს პრაქტიკულად ნიშნავს შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, არაბულ სამყაროსთან დაკავშირებას და ძალიან დიდ მასშტაბებს ჩვენი ეკონომიკური და არაეკონომიკური ცხოვრებისათვის.

ეს შეიძლება სასიცოცხლო არტერიებად იქცეს საქართველოსათვის, მხედველობაში მაქვს, საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები, რაც უდავოდ გამოიწვევს მთელი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების გააქტიურებას, ეკონომიკის გამოცოცხლებას და გაძლიერებას. მინდა ხაზი გავუსვა იმასაც, რომ ჩვენი ოპონენტები ამ საკითხში ზოგჯერ სხვადასხვა ვარიანტებს ატრიალებენ. ეძებენ რაღაც წინააღმდეგობებს, ნეგატიურ მომენტებს. მე მსიამოვნებს ეს ასე რომ ხდება, ოპოზიცია უნდა არსებობდეს და მას უნდა ჰქონდეს თავისი აზრი, ოღონდ ეს აზრი ინტრიგანული კი არა, სერიოზული უნდა იყოს. ამბობენ, თითქოს ირანის ვიზიტი იმისათვის იყო საჭირო, რომ მესამე თუ მეოთხე ქვეყნისთვის რაღაც უნდა მიენიშნებინათ. ეს ხომ ნამდვილი ბავშვური მსჯელობა გახლავთ. არავითარი სხვა ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ არ ყოფილა ეს ვიზიტი გათვლილი და მიმართული. მე საერთოდ არა ვარ იმის მომხრე, რომ რომელიღაც ერთ ქვეყანას შევეკრათ და ამით მეორე ქვეყანას გავუსწოროთ ანგარიში, ან ჩვენთვის რაიმე ხელსაყრელი პირობები შევიქმნათ. ყოველთვის არსებობს რაღაც ინტერესების ბალანსი და ჩვენ სწორედ ამ ხაზს მივყვებით. თუ ამ მხრიდანაც შევხედავთ ირანის ვიზიტს, მას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. თქვენ გახსოვთ ჩემი პირველი ჩასვლა ირანში. მაშინ ირანი მართლა იზოლირებული ქვეყანა იყო, განსაკუთრებით ევროპაში და მსოფლიოში მძვინვარებდა ანტიირანული განწყობილებანი. თუ გახსოვთ, ეს მოჰყვა ცნობილი მწერლის რუშდის მიმართ გამოტანილ განაჩენს. ამ დროს მე სირიაში ვიმყოფებოდი და ჩემი შემდგომი ვიზიტი თეირანში უნდა გამართულიყო. მაშინ ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ მოსკოვიდან დამირეკა და მირჩია, თავი ამერიდებინა ამ ვიზიტისათვის, მაგრამ ეს რჩევა არ მივიღე, მაინც ჩავედი თეირანში და აიათოლა ჰომეინი მოვინახულე. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო იმ დროს და ამ არაორდინალურმა ნაბიჯმა ხელი შეუწყო ანტიირანული ხანძრის ჩაქრობას. დღეს ის მწერალიც ცოცხალია და მის ნაწარმოებებს მსოფლიო კითხულობს და ირანის იზოლირებაზეც ცოტას ლაპარაკობენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ასეთი კომპლექსი მაინც არსებობს. ჩემი აზრით, ამ ვიზიტის დანიშნულება ისიც იყო, რომ საქართველომ, რაც შეუძლია, ის წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების საქმეში. და ბოლოს, ორიოდე სიტყვით თუ ვიტყვი, ეს ვიზიტი იყო საქართველოს ხვალინდელ დღეზე ფიქრის გამოვლინებაც და სამომავლოდ გაანგარიშებული გამიზნული მოქმედებაც.

გარდა ამისა, თქვენ ძალიან მგრძნობიარე თემა წამოჭერით, — სპარსული ენის საქართველოში შესწავლის და ქართული ენის ირანში სწავლების შესახებ. ჩემი აზრით, ჩვენ ახლა არა მარტო ევროპული ენები უნდა გვაინტერესებდეს, (ახალგაზრდობის საყურადღებოდ ვამბობ ამას), არამედ სპარსულიც. ამ ენის შესწავლაც ისევე სასურველი იქნება ჩვენი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილისათვის, როგორც დასავლური ენებისა. მე ვიცი, რომ სპარსეთში დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ენისადმი. ეს განსაკუთრებით ხდება იმ საზოგადოებაში, რომელსაც ჩვენ ქართული საზოგადოება შეიძლება ვუწოდოთ. მე მქონდა მათთან შეხვედრა. ეს საოცრად ამაღელვებელი შეხვედრა იყო და ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხის წინაშე აღარ არის ადრე არსებული ბარიერები და ისინი თავისუფლად შეძლებენ მიმოსვლას თავიანთ პირველ სამშობლოში. ზოგიერთებმა ისიც კი ითხოვეს, რომ იქნებ რაიმე საქმეს მოჰკიდონ ხელი, ჰქონიათ ამისათვის რაღაც დანაზოგები, რომ ხელი შევუწყოთ ერთმანეთს და ისტორიული ბედუკუღმართობის ეს გადმონაშთი რომელიც აქამდე შემორჩა, როგორმე დავძლიოთ. ეს ხალხი რომ მაინც ცოცხალია იქ და ქართულად ასე თუ ისე ლაპარაკობს, სიამაყეს მგვრის, ამიტომ ჩვენ უნდა წავეხმაროთ მათ მშობლიური ენა უკეთ იცოდნენ.

— ბატონო ედუარდ, მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმანაც, რომ თქვენი ვიზიტი ირანში დაემთხვა ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს და რომ ამ ზეიმს საქართველოდან არავინ დასწრებია...

— ხანდახან არის ხოლმე ასეთი გულუბრყვილო მსჯელობა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ბჭობა პარლამენტში

22 იანვარი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისათვის ერთგვარი ექსპერიმენტის დღე აღმოჩნდა. ნაცვლად რიგითი სხდომისა, ამ დღეს გაიმართა საპარლამენტო ბჭობა, რომლის ინიციატორი იყო ფრაქცია „ქარტია-91“. ბჭობის ინიციატორთა მიზანი იყო პარლამენტის მიერ ქვეყნის პოლიტიკურ კურსსა და ორიენტაციასთან დაკავშირებით პრინციპული პოზიციის გამოხატვა.

პარლამენტარ თედო პაატაშვილის მიერ წარმოდგენილი ვრცელი მოხსენების არსი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ორიოდე სიტყვით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: რესპუბლიკის პარლამენტმა უნდა განსაზღვროს და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელსაც დაიცავს და განახორციელებს. ჩვენი აზრით, საქართველო აწარმოებს პრორუსულ პოლიტიკას, რაც ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს მიერ ფართოდ რეკლამირებულ პროდასავლურ ორიენტაციას. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ პოლიტიკის შესასუსტებლად. 2-3 წელიწადში დასრულდება მსოფლიო სისტემის ხელახალი გადანაწილების პროცესი და ჩვენს გამო, მას უკვე აღარავინ არევს. ამიტომ, დღეიდანვე უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ამ სისტემაში.

ხანგრძლივმა და საკმაოდ მწვავე დისკუსიამ, რომელსაც შეხედულებათა და პოზიციათა განსხვავების მიუხედავად, კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა, კიდევ ერთხელ ცხადად წარმოაჩინა საქართველოს პარლამენტის დემოკრატიულობა. დისკუსიამ დაამტკიცა, ამგვარი შეხვედრების, კამათის აუცილებლობა, მით უმეტეს, რომ, როგორც შემდგომ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, ბევრი პარლამენტარის აზროვნება პოლიტიკის სფეროში მსოფლიო აზროვნების დონეზეა.

სახელმწიფოს მეთაურმა მაღალი შეფასება მისცა დისკუსიას და პარლამენტს გაუზიარა თავისი მოსაზრებები განსახილველ თემასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საქართველოს მოწყვეტა მსოფლიო პროცესებისაგან.

— ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც საქართველოს ემუქრება, — თქვა მან, — არის არასტაბილური, არეულ-დარეული, რეაქციული რუსეთი, რომელიც თავის ძველ როლს უბრუნდება, ოღონდ ამჯერად ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ დემოკრატიულ მონაპოვარს რუსეთში და, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, უნდა დავეხმაროთ კიდეც მას, რადგან, მასზეა დამოკიდებული სტაბილურობა არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ მთელ ევროპაში. აღარც ამერიკას მიაჩნია იგი თავის მოწინააღმდეგედ. ანტირუსული ეფექტი დღევანდელ მსოფლიოში აღარ მუშაობს. მაგრამ რუსეთ[illegible] დარჩება დაუსჯელი, დაუბრუნდება თავის ძველ როლს. იგი იზოლაციაში აღმოჩნდება და ეს მაშინ, როცა მას თავად სჭირდება მსოფლიოს მხარდაჭერა, რათა არ დაიშალოს.

მეორე პრობლემად, რომელიც ასევე მთელი მსოფლიოს წინაშე დგას, სახელმწიფოს მეთაურმა დაასახელა წინააღმდეგობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ბატონმა შევარდნაძემ პარლამენტართა ყურადღება მიაპყრო აგრეთვე, მთელ პლანეტაზე სეპარატიზმის საფრთხეს.

ბატონმა შევარდნაძემ ერთხელ კიდევ აღნიშნა ის წარმატებები, რომლებსაც ქვეყანამ ბოლო ხანებში მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ვშიმშილობთ, — თქვა მან, — მაინც მსოფლიოს მიერ დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყნად ვართ აღიარებული და ეს უდიდესი გამარჯვებაა. თუ კვლავაც ამ გზით ვივლით, გვექნება გარანტიები, რომ ვერავინ დაგვჩაგრავს.

როდესაც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავცდეთ ჩვენს პარტიულ ინტერესებს, და დავდგეთ ზოგადეროვნული ინტერესების პოზიციაზე. უნდა ვიზრუნოთ კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე.

დასასრულ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა თავისი მოსაზრებები ბჭობის დროს წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით.

მაია ალუდაური.

შეიქმნა ქუთაისის მერია

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით შეიქმნა ქ. ქუთაისის მერია და დამტკიცდა მისი დებულება.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
ქალაქ ქუთაისის მერის შესახებ

დაინიშნოს თეიმურაზ შაშიაშვილი ქალაქ ქუთაისის მერად.

ე. შევარდნაძე.

• • •

თეიმურაზ გივის ძე შაშიაშვილი დაიბადა 1951 წელს ქალაქ ქუთაისში. ქუთაისშივე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით, გავლილი აქვს ეკონომიკური სწავლების სპეციალური კურსები. შრომითი საქმიანობა დაიწყო ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სტამბაში. აქვს წარმოებაში მუშად და ინჟინრად მუშაობის ხუთი წლის სტაჟი. იყო სამეურნეო და პარტიულ სამუშაოზე. 1989-1991 წლებში მუშაობდა ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარედ, 1990 წლის ოქტომბერში არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. 1991 წლიდან სამეცნიერო სამუშაოზეა, არის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. არჩეულია საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ინდონეზიასთან

მოსკოვი, 25 იანვარი. დღეს საქართველოს რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკისა და ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობათა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ერთობლივი კომუნიკეს ხელმოწერა. კომუნიკეს ხელი მოაწერეს ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ბატონმა ჟანვარ მარახ ჯანიმ და საქართველოს დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა რუსეთის ფედერაციაში ბატონმა პეტრე ჩხეიძემ.

ნომერში

⊙ საქართველოს კიდევ ექნება ბედნიერი დღეები 3

⊙ ღვაწლი კაცისა ანუ ზოგი რამ ნაღდ მამულიშვილზე 4

მისალმებანი დაბადების 65 წელთან დაკავშირებით

მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს, ბატონ ედუარდ-გიორგი შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს — დაბადების 65 წლისთავს.

დიდია თქვენი დამსახურება ჩვენი ერის და მსოფლიოს წინაშე. რთული და ეკლიანი არის თქვენი გზა, მაგრამ ნათელი და დიდებული. თქვენი მთელი ცხოვრება უფსკრულის წინაშე საცალფეხო ბილიკზე სვლა იყო.

ადრეც, თუმცა გარეგნულად შორს იყავით ეკლესიისაგან, ღმერთი მაინც ახლოს იყო თქვენთან, რადგან ყოველ თქვენს მოქმედებას საფუძვლად სიკეთე და საქართველოსთვის ზრუნვა ედო. მაშინაც კი, როცა თქვენი უშუალო მონაწილეობით წყდებოდა მსოფლიო გლობალური პრობლემები, თქვენ ყოველთვის ფიქრობდით საქართველოზე.

დღეს რუსეთში ბევრია თქვენდამი კრიტიკულად განწყობილი, ბევრი მისტირის არც თუ ისე შორეულ წარსულს. გონიერი ადამიანი კი ადვილად მიხვდა, რომ ის, რაც გაკეთდა, იყო ხსნა როგორც მსოფლიოსათვის, ისე, უპირველეს ყოვლისა, რუსეთისათვის.

ის, რაც თქვენ და თქვენმა თანამოაზრეებმა შესძელით, იმდენად დიდი და საოცარია, რომ, ალბათ, წლები დასჭირდება მის სწორად აღქმასა და შეფასებას.

მიუხედავად ყველაფრისა თქვენი მთავარი მისია მაინც საქართველოს მსახურებაა, სამშობლოს განთავისუფლება და მისი გადარჩენაა. ესაა ღვთის მიერ თქვენზე დაკისრებული უმთავრესი მოვალეობა და ყველაფერი, რაც აქამდე გააკეთეთ, იყო მხოლოდ მზადება ამ მიზნის განსახორციელებლად.

გახსოვდეთ, უფალი, რომელმაც ერის ჯვარი გიბოძათ, მოგცემთ ძალას ბოლომდე მის სატარებლად. „თავად უფალი, შენი ღმერთი, მოდის შენთან ერად, არ მოგშორდება და არ მიგატოვებს“ (II, სჯული, 31,6).

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და გაგახაროთ.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

ღრმა პატივისცემით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II.

თბილისი. 1993 წლის 24 იანვარი.

დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მრავალი სახელმწიფოს მეთაურის, გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის გულითადი მილოცვა მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა ედუარდმა არ მოგვცა უფლება ყველა მათგანი გამოგვექვეყნებინა, ვითვალისწინებთ რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, ვაქვეყნებთ მხოლოდ ამ ქვეყნიდან მიღებულ ორ მისალოც ბარათს.

თბილისი, 18 იანვარი 1993 წ.

მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს და პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

მაქვს პატივი, გადმოგცეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა:

„პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით გადმოგცემთ ჩემს საუკეთესო სურვილებს თქვენს სამოცდამეხუთე დაბადების დღესთან დაკავშირებით. ბედნიერება და ჯანმრთელობა ყოფილიყოს მუდმივი თანამგზავრი თქვენი მცდელობისა, — მშვიდობა და კეთილდღეობა დაუმკვიდროთ თქვენს ხალხს, რომელთანაც გერმანელებს კეთილი დამოკიდებულება აქვთ.

რიჰარდ ფონ ვაიცზეკერი,
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი“.

თქვენო აღმატებულებავ, ვსარგებლობ შემთხვევით, გამოვხატო თქვენს მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემა.

გიუნტერ დალკოფი,
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი.

მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, გულითადად გილოცავთ დაბადების 65-ე წელს.

გისურვებთ, ამჟამად თქვენს ქვეყანაში არსებული რთული ვითარების პირობებში თქვენი ცხოვრების ახალ ეტაპზე არ მოგკლებოდეთ ძალა, ბედნიერება და წარმატება.

მოხარული ვიქნები, თუ მომეცემა შესაძლებლობა მოგესალმოთ აქ, გერმანიაში, 1993 წელს.

მეგობრული სალმით თქვენი
ჰელმუტ კოლი,
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი.

---

25 იანვარს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ტელეფონით ესაუბრა და დაბადების დღე გულითადად მიულოცა ჰანს დიტრიხ გენშერმა.

საუბრისას მან კიდევ ერთხელ აღნიშნა ედუარდ შევარდნაძის დამსახურება გერმანიის, ევროპის და მთელი მსოფლიოს წინაშე.

ჰანს დიტრიხ გენშერმა აუწყა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომ იგი დაჯილდოებულია მეტად პრესტიჟული პრემიით — „ჰერმან კანტის მედლით“, რომლის საზეიმო გადაცემა ახალი ლაურეატისათვის მოხდება მისი გერმანიაში ვიზიტის დროს. გერმანიის მხარემ აგრეთვე გამოთქვა მზადყოფნა სპეციალური მისიით თბილისში მოავლინოს ბატონი გენშერი, რომელიც, მისივე თქმით, უდიდესი სიამოვნებით გადმოსცემს ბატონ ედუარდს ამ პრემიას საქართველოში.

სატელეფონო საუბარი აზერბაიჯანის პრეზიდენტთან

25 იანვარს შედგა აზერბაიჯანის პრეზიდენტ აბდულფაზ ელჩიბეისა და საქართველოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სატელეფონო საუბარი, რომლის დროს განხილულ იქნა ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობის პერსპექტივები.

აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელმძღვანელებმა მოილაპარაკეს, რომ უახლოეს დღეებში დამთავრდება მუშაობა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დეკლარაციაზე, აგრეთვე მომზადდება საბანკო-საინვესტიციო, საბაჟო, სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმებების მთელი პაკეტი, რომელთა ხელმოსაწერად აზერბაიჯანს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

ედუარდ შევარდნაძე: რაც შეუძლია, საქართველომ ის წვლილი უნდა შეიტანოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობათა გაუმჯობესების საქმეში

25 იანვრის რადიოინტერვიუ

(დასასრული).

საქართველოდან არც უნდა დასწრებოდა ვინმე. თქვენ იცით, არც ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენელი დასწრებია იმ ზეიმს. ასეთი რამ არ არის ტრადიციული და არც არავინ ანიჭებს ამას მნიშვნელობას. მე დღეს გავუგზავნე მისალოცი დეპეშა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტს, რომელთანაც არჩევის დღიდანვე დამყარდა საკმაოდ კეთილი ურთიერთობა და დამოკიდებულება. იცით, რომ ჩვენს შორის გაიმართა სატელეფონო საუბარი, მერე ერთმანეთს წერილები გავუგზავნეთ, არის სხვა კონტაქტებიც და ამაზე ნურავინ ნუ ღელავს! ჩვენ ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან თუ უკეთესი არა, ისეთი ურთიერთობა მაინც გვექნება, როგორიც ბუშის ადმინისტრაციასთან გვქონდა.

— ჩვენთან დღეს ბევრს დავობენ იმაზე, თუ როგორი პოლიტიკური კურსით მიდის საქართველო. მაშინ, როცა ფერეიდნელმა ქართველებმა თქვენ გაჩუქეს ხალიჩა, რომელსაც აწერია სიტყვები: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“ და ამით განსაზღვრეს ჩვენი საგარეო პოლიტიკა...

— ამ სიტყვებით მართლაც ბევრი რამ არის ნათქვამი. ვინც დღეს იმას ამტკიცებს, რომ საქართველოს არ გააჩნია თავისი კურსი, არ გააჩნია თავისი დოქტრინა, კონცეფცია და ა. შ. (უყვართ ხოლმე ასეთი ხმაურიანი გამოთქმები) მე მგონი, არ არის სწორი. ასეთი ლაპარაკი ძალიან მაგონებს ჩემი ძველი საქმიანობის დროს, ბოლშევიზმის წლებს, როცა ყველა საკითხზე მოითხოვდნენ მზამზარეულ დოქტრინას და კონცეფციას. მომავალში ყველაფერი იქნება, ახლა კი მთავარია, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენი კურსი და ვიცით, ჩვენი ადგილი ამ სამყაროში; მჯერა, რომ საგარეო პოლიტიკის სფეროში ჯერ-ჯერობით საკმაოდ სწორადაც ვმოქმედებთ. მაგრამ, სამწუხაროდ, საშინაო პოლიტიკაში გვაქვს ბევრი სიძნელეებიც, სირთულეებიც და შეცდომებიც. საგარეო პოლიტიკის სფეროში ჩვენს მოქმედებას კი ის განსაზღვრავს, რომ ჩვენ აქტიური ნეიტრალიტეტის ქვეყანა ვართ და ასეთად უნდა დავრჩეთ.

— თქვენ პარლამენტში თავი შეიკავეთ ვიზიტის შედეგების შეფასებისაგან და იმიტომ ხომ არ გააკეთეთ, რომ ჯერ კიდევ ხელმოუწერელია ხელშეკრულება რუსეთთან, მით უმეტეს, რომ პოლიტიკური პარტიების აზრით, არ შეიძლება ხელმოწერა, ვიდრე საქართველოდან არ გავა რუსეთის ჯარი და უპირველეს, ყოვლისა, არ დატოვებს იგი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს? ამის შესახებ პარლამენტში დებატებიც გაიმართა,..

— არა, მე თავი არ შემიკავებია შედეგების შეფასებისაგან. ხვალ ან ზეგ ამას გავაკეთებ. პარლამენტის სხდომას გარკვეული ანგარიში უნდა ჩავაბარო ამ ვიზიტის შედეგებზე. მე, უბრალოდ, დრო მჭირდებოდა, რომ გამეაზრებინა ყველაფერი, რაც მოხდა. რაც შეეხება მეორე საკითხს, კარგია, რომ წამოჭერით ეს პრობლემა. მე მინდა საქართველოს ყველა მოქალაქეს მივმართო და ვთქვა, რომ ახლა მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება და მინდა, ეს საკითხი ისეთ რანგსა და მასშტაბში ავიყვანოთ, რომ არავის არ დარჩეს გულგრილი ამ მოვლენისადმი. რუსეთთან დამოკიდებულებაში ახლა ორი ტენდენცია შეიმჩნევა. ერთი, მე ვიტყოდი, ჯანსაღია და ეს იმ ხალხის გულისთქმაა, რომელსაც კარგად ესმის, რომ არ შეიძლება ასე მექანიკურად და ავტომატურად მოწყდე ქვეყანას, რომლის ნაწილიც 200-250 წლის განმავლობაში იყავი და ეკონომიკით მთლიანად მასზე ხარ მიჯაჭვული, ცხადია, ამ ჯაჭვების დაწყვეტა პრაქტიკულად მთელი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების შეჩერებას ნიშნავს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ არცთუ უსაფუძვლოა ლაპარაკი იმ ისტორიულ უსამართლობაზე, რომელიც რუსეთის მხრივ ჰქონდა საქართველოს, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ რეალურად არსებულ იმ ინტეგრაციას, რომელიც ამ ათეული და ასეული წლების განმავლობაში მოხდა. ეს ჩვენი მხრივ ცოტა არ იყოს, დიდი პოლიტიკისა და დიდი პრობლემებისადმი გულუბრყვილო მიდგომა იქნებოდა.

საპარლამენტო ბჭობის დროს მე ვთქვი, რომ არ შეიძლება არ ვიფიქროთ იმაზეც, რომ ახლა გარდამავალ ეტაპზე ვიმყოფებით და შესაძლოა ორი-სამი წელი, შეიძლება ოთხი წელიც კი დაგვჭირდეს, ამ ეტაპის გასავლელად. ჩვენთვის ამ წლებში აუცილებლობას წარმოადგენს ის, რომ ვეძებოთ ახალი გზები, ახალი ვარიანტები, ხოლო ის, რაც დღეს არის ხელსაყრელი, არ დავკარგოთ და შევინარჩუნოთ. ისიც უნდა შევინარჩუნოთ, რაც ხვალ იქნება ხელსაყრელი რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაში. იმის სანაცვლოდ კი, რაც ხელსაყრელი არ არის, ვიდრე გადავაგდებდეთ, უკვე უნდა გვქონდეს სხვა ვარიანტი. სამწუხაროდ, ეს ადვილი პროცესი არ არის, ამას დრო სჭირდება. შესანიშნავი იყო ჩვენი მინისტრების ვიზიტი ირანში. მე დავრწმუნდი, რომ ისინი სწორად შევარჩიეთ, ირანელი კოლეგების ღირსეული პარტნიორები აღმოჩნდნენ. ვხედავ იმასაც, რომ ამ მხრივ, კარგი პერსპექტივებია, ამიტომ, ზოგიერთ სფეროში მართლაც შეიძლება გვქონდეს ალტერნატივა, მაგრამ ეს ალტერნატივა საქმედ და რეალურ მოკავშირედ რომ იქცეს, ამას შესაძლოა, ერთი წელიც კი დასჭირდეს. აი, რატომ მინდა, რომ ჩვენმა ხალხმა ძალიან კარგად გაიაზროს ეს პრობლემა, თუ რას ემყარება ჩვენი ურთიერთობა დღეს რუსეთთან და რაში უნდა გამოიხატოს იგი.

ავიღოთ თუნდაც რუსეთის არმიის გარკვეული ნაწილის ორი წლით, ანდა სამი წლით ყოფნის საკითხი საქართველოში. შევხედოთ ამ საკითხს იმ პოზიციიდანაც, რომ თვით რუსეთის ჯარს მიეცეს საშუალება იმისათვის, რომ დასცილდეს საქართველოს ნორმალურად, ნორმალურად გადაწყდეს მისი საშინაო პრობლემები, შექმნას სხვა პირობები, როგორც ეს გერმანიაში მოხდა. მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია ის, რაც გერმანიაში გაკეთდა, რომ ბინები ავუშენოთ, უზარმაზარი თანხები გავიღოთ და სესხი მივცეთ რუსეთს, მაგრამ ის კი შეგვიძლია, რომ მეგობრებად დავშორდეთ და მომავალშიც მეგობრებად დავრჩეთ. აი, ასე მივმართე პარლამენტს და ასე მივმართავ საქართველოსაც, რომ დღეს არჩევანის წინაშე ვდგავართ და ჩვენი ხვალინდელი და სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარე, ბრძნული არჩევანი უნდა გავაკეთოთ და მარტო ემოციებს არ უნდა დავეყრდნოთ.

— სხვათა შორის, პარლამენტართა ერთი წრის უკმაყოფილებას ისიც იწვევს, რომ სახელმწიფო მეთაურის აპარატში არის საპარლამენტო კომისიების პარალელური სტრუქტურები, რომ პრეზიდიუმი შეცვალა კოლეგიამ და საქართველო იმ გზით არ მიდის, რა გზითაც უნდა მიდიოდეს...

— ყველაფერი, რაც გაკეთდა, კანონის ფარგლებში გაკეთდა, ხელისუფლების კანონი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოს მეთაურს აქვს უფლება შექმნას თავისი აპარატი. უაპარატოდ, რაც გინდა დაარქვი მას, გინდ ბიუროკრატიული და გინდ ბოლშევიკური გადმონაშთი, მაინც ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მუშაობს. მე ისიც უნდა გითხრათ, რომ ზოგიერთი რამ ჩვენ გავიმეორეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკიდან. იქ არის უშიშროების საბჭო, არის პრეზიდენტის აპარატი; ჩვენი სტრუქტურა ზუსტი ასლი, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ, ვიმეორებ, ზოგი რამ იქიდან არის ნასესხები და ამაში დასაგმობი არაფერია.

რაც შეეხება კოლეგიას, ისიც კანონიერი ორგანოა, რეგლამენტით განისაზღვრა და თვითონ პარლამენტმა გადაწყვიტა. მან ასე თუ ისე, ხელი უნდა შეუწყოს პარლამენტის ნორმალურ მუშაობას, მაგრამ, თუ გინდა, მიზეზი მოძებნო, მას ყველგან მონახავს კაცი.

— აფხაზეთში კვლავ რთული მდგომარეობაა. ერთის მხრივ, აფხაზთა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები უკვე იწყებენ დიალოგს ქართულ მხარესთან, აფხაზეთის ხსნის კომიტეტი მიმართვას უგზავნის გენერალურ მდივანს და ამ ომში არძინბას კლანს და ჩრდილოეთ კავკასიის დესტრუქციულ ძალებს სდებს ბრალს, იქმნება, თუმცა, ძალიან დიდი სირთულეებით, გაგრის ბატალიონი, ბატონი სანდრო კავსაძე ნიუ-იორკშია სწორედ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, და — მეორე მხრივ, საუბრობენ იმაზეც, რომ აფხაზეთის ომის ერთ კვირაში დასრულება შეიძლებოდა, მაგრამ ხელისუფლება თვითონ აჭიანურებს ამ ომს, რომელიც მას არჩევნების ჩასატარებლად, მოწინააღმდეგეთა შემოსარიგებლად და ეკონომიკურ სიძნელეთა გასამართლებლად სჭირდებაო. პარლამენტართა ნაწილმა აფხაზეთის საკითხებზე სხდომის მოწვევაც კი ითხოვა...

— აფხაზეთში უაზრო ომია (მე ასე ვუწოდებ ამ ომს, რადგან, ყველა ომი საკუთარ ქვეყანაში უაზროა), მაგრამ, როგორც არაერთხელ მითქვამს, იგი ჩვენ არ დაგვიწყია და არც საომრად არ შევსულვართ აფხაზეთში. მაგრამ იმაზე ლაპარაკი, თითქოს ვიღაცა ამ ომს აჭიანურებს, მე მგონი, უსამართლობის ზღვარს სცილდება. მე არ მინდა, ვიხმარო ისეთი სიტყვები, როგორიცაა ცილისწამება და სხვა ამგვარი, მაგრამ მე პირველი ვარ, ვინც მოითხოვს ამ ომის დამთავრებას, და ეძებს იმის გზებსაც, რომ იგი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს; არ შეიძლება, ჩვენ აფხაზებთან გაუთავებელი ომი გვქონდეს. აფხაზები ჩვენი ხალხია, ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი არიან და ისევე, როგორც ქართველი ხალხის უბედურება, აფხაზთა უბედურებაც ჩვენს საერთო უბედურებად მიმაჩნია, ამიტომ, მინდა ეს ომი, რაც შეიძლება ჩქარა დამთავრდეს და ყველაფერს ვაკეთებთ ამისათვის. მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ჩვენ, რუსეთის როლსაც დავუბრუნდეთ იმ ფარგლებში, რომლებიც 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებაშია მოცემული. ის კარგი საფუძველი იყო. პირველი კონტაქტები რუსეთთან იმაზე მიუთითებს, რომ ეს ვარიანტი გამორიცხული არ არის, მაგრამ დაზღვევის გარანტიები უნდა გვქონდეს, ამიტომ გვჭირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, უშიშროების საბჭო... სანდრო კავსაძე სწორედ ასეთი დავალებით იმყოფება ნიუ-იორკში.

ამ დღეებში უნდა შედგეს უშიშროების საბჭოს ახალი სხდომა, ერთი რეზოლუცია უკვე მიღებულია, ახლა ალბათ, იმაზე იქნება ლაპარაკი, რომ ისევ მოხდეს 3 სექტემბრის ხელშეკრულების მხარდაჭერა, რომ პოლიტიკური დიალოგის გზით გადაწყდეს ეს საკითხი, და, თუ რუსეთის მონაწილეობა ასე თუ იქნება აღიარებული, უნდა იყოს სათანადო კონტროლიც, და ეს უნდა განახორციელოს მეთვალყურეთა საკმაოდ დიდმა რაზმმა. ისინი იქნებიან როგორც ევროგაერთიანებიდან, ისე უშიშროების საბჭოდან, და ამ მხრივ, გარანტიები მეტი იქნება, რომ დადებული ხელშეკრულებები, როგორმე გადაწყდეს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ უფრო აქტიურად უნდა ვიფიქროთ, უშუალოდ აფხაზებთან დიალოგზე. ასეთი დიალოგი დაიწყო სხვადასხვა ჯგუფებთან, სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან, ეს დიალოგი ზოგი ნაყოფიერია, ზოგიც უნაყოფო, მაგრამ მთავარია, რომ დიალოგი მიმდინარეობს, მე არ გამოვრიცხავ, რომ ორმხრივ ნიადაგზე მოხდეს მორიგება — ქართველთა და აფხაზთა მოლაპარაკების გზით. ისტორიულად იყო ასეთი ფაქტები და პრეცედენტები.

— გაზაფხულზე გაუდის ვადა კონტრაქტს ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების ყოფნასთან დაკავშირებით. თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ ცხინვალი, შეიძლება ითქვას, ოსურ ქალაქად იქცა, აგრეთვე, გახშირდა რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელთა ვიზიტი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთი ნელ-ნელა ხვდება სტაბილიზაციის აუცილებლობას კავკასიაში. ასეთ დროს, რამდენად აუცილებლად გეჩვენებათ რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა იქ სამომავლოდ?

— თქვენი გამოთქმა, რომ ცხინვალი ოსურ ქალაქად იქცა, შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს. ცხინვალი უკვე იყო ასეთი. მე რომ ჩამოვედი და ცხინვალში შევედი, ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, იქ ქართველები თითქმის აღარ იყვნენ. მას შემდეგ, პირიქით, თუ მოემატნენ, თორემ აღარ შემცირებულან. მაგრამ ეს მაინც არ ქმნის ამინდს. რუსეთისა და ჩვენი სათანადო ქვედანაყოფები იქ რომ არ ყოფილიყვნენ, შეიძლება მდგომარეობა უარესი ყოფილიყო იმ მოსახლეობისათვისაც, რომელიც ხეობებში ცხოვრობს. ბევრი მათგანი ხომ დაბრუნდა თავის ადგილებში. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგივე პროცესთან გვექნება საქმე ცხინვალშიც. თუკი ახლა ბევრი რამ ჯერ არ კეთდება, ისევ ჩვენი ბრალია. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როცა იქ ბატონი თენგიზ სიგუა შევიდა, შევიდნენ მინისტრები, სამთავრობო კომიტეტი, და რეგიონთან დაკავშირებული პრობლემები განიხილეს. მაგრამ ასეთი რამ ეპიზოდურად არ უნდა ხდებოდეს, მუშაობა სისტემური უნდა იყოს და არა მარტო პრემიერმინისტრის მხრიდან, არამედ სხვათა მხრიდანაც — იქ უნდა დადიოდნენ მინისტრები, მათი მოადგილეები... უნდა ვიმუშაოთ ოსებთანაც, ქართველებთანაც, თანდათანობით უნდა ვქმნიდეთ სტრუქტურებს, რომლებიც მოგვცემენ იმის საშუალებას, რომ ქართველი ლტოლვილები დავაბრუნოთ ცხინვალში. ამას დრო დასჭირდება. სამწუხაროდ, აფხაზეთმა ჩვენ ჩამოგვაცილა ამ პრობლემებს. მაგრამ დადებითი რაც არის, ის უნდა დავინახოთ. აქ ახლა სისხლი აღარ იღვრება. ეს მთავარია. მართალია, არის რაღაც უსიამოვნებანი, მაგრამ პრინციპში აქ მშვიდობა სუფევს და, როგორ გამოვიყენებთ ამ მშვიდობიან პერიოდს, ამაზე იქნება დამოკიდებული რეგიონის ბედიც.

— ვიცით, რომ დღეს თქვენი დაბადების დღეა, თვითონ მესმოდა უამრავი სატელეფონო ზარები, მინდა ვისარგებლო შემთხვევით, მოგილოცოთ ეს დღე და, გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე და მშვიდობა. სხვა შემთხვევაში, ინტერვიუს ალბათ, სხვაგვარად წარვმართავდით, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ უკეთესი დღეებიც გვექნება... მახსოვს, თქვენ რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდით, თბილისში ასეთი ანეგდოტი გავრცელდა: ედუარდ შევარდნაძეს ბებიამ გარდაცვალების წინ გადასცა ბარათი და უთხრა, როცა შენი კარიერის ზენიტს მიაღწევ, ბარათი მაშინ გახსენიო. გახდა ედუარდ შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრი, გადაწყვიტა, ამ ბარათის გახსნა, მაგრამ გადაიფიქრა, ასე გამეორდა, როცა იგი ცეკას მდივანი და საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ახლა მაინტერესებს, ეს ბარათი გახსნილია თუ ახლაც გულის ჯიბეში გიდევთ გაუხსნელი?

— გმადლობთ მოლოცვისათვის. მართლაც უამრავი სატელეფონო ზარი გაისმის და წერილები მოდის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მე, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ავკრძალე (თუ ამ აკრძალვამ იმოქმედა), რომ ისინი არ გამოაქვეყნონ, რადგან ახლა არ არის ის დრო, როცა რაღაც იუბილეები და დაბადების დღეები გადავიხადოთ. ბუნებრივია, ყველა ადამიანი დაბადების დღეს თავის ოჯახში ტრადიციულად შეხვდება, მეც ეს ტრადიცია მაქვს ჩემს ოჯახში და ამით ყველაფერი ამოიწურება. რაც შეეხება იმ წერილს, რომელიც ასეთი საიდუმლოებით არის მოცული, ჯერ არ გამიხსნია და როცა გავხსნი, გამოვაქვეყნებ.

დამნაშავენი უნდა ვიპოვოთ, დამნაშავეები უნდა დავადგინოთ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განცხადება ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1993 წლის 23 იანვრის სხდომაზე

22 იანვარს, 14 საათსა და 30 წუთზე თავით ფეხამდე შეიარაღებულ დამნაშავეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმი 40-50 კაცის შემადგენლობით თავს დაესხა და გაძარცვა თბილისში, კახეთის გზატკეცილზე დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეთა სამხედრო ნაწილი. მათ ადგილზე დახვრიტეს ორი სამხედრო მოსამსახურე, რომელთაგან ერთი უიარაღო იყო, გაიტაცეს 70 ცალი ცეცხლსასროლი იარაღი, ავტომანქანები, მათ შორის ბენზინსაზიდები და ა. შ.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დისლოცირებული ცალკეული სამხედრო ნაწილების მიმართ ცალკეული მოქალაქეები, ბანდიტური ჯგუფები, სხვას მათ ვერაფერს ვუწოდებ, მიმართავენ ძალმომრეობას. ისინი პრაქტიკულად მოქმედებენ არა მარტო ამ ნაწილების წინააღმდეგ, არამედ საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგაც.

საქართველოში რუსეთის არმიის, რუსეთის ჯარების ყოფნის საკითხი მთავრობათა შორის მოლაპარაკების საგანია, ასეთი მოლაპარაკება ეწყობა. ძალმომრეობასთან დაკავშირებული ყოველგვარი სხვა გამოვლინება, რომელიც გუშინ მოხდა, პრაქტიკულად ნიშნავს საკუთარი ქვეყანა და საკუთარი ხალხი დააყენო ახალი სირთულეების და სიძნელეების წინაშე. ასეთ მოქმედებას შეიძლება გამოუსწორებელი, ტრაგიკული შედეგები მოჰყვეს.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გამოვთქვა აღშფოთება ჩემი სახელით და კოლეგების სახელით. დღეს რომ პარლამენტი მუშაობდეს, დარწმუნებული ვარ, იგიც შეუერთდებოდა ჩემს ამ განცხადებას. მე მინდა საქართველოს ხელისუფლების, ხელმძღვანელობის სახელით გამოვთქვა სინანული და თანაგრძნობა ამ სამხედრო ნაწილის, მისი პირადი შემადგენლობის, დაღუპულთა ოჯახების მიმართ, ვინც უნდა დაღუპულიყო მკვლელისა და ბანდიტის ხელით, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, რა ქვეყანასაც უნდა წარმოადგენდეს იგი, ჩვენ გულთან ახლოს უნდა მივიტანოთ მისი ტკივილი, რადგან ეს ჩვენი საკუთარი ტკივილია. ეს არის ელემენტარული საერთაშორისო ნორმების დარღვევა, რაც ჩრდილს აყენებს ჩვენს რესპუბლიკას. ერთხელ კიდევ გამოვთქვამ ღრმა სინანულს მომხდარის გამო. ვგმობ ჩადენილ დანაშაულს და, ამავე დროს, ჩვენი ხელმძღვანელობის სახელით საჯაროდ ვავალებ გენერალურ პროკურორს ბატონ თ. ნინიძეს, შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ თ. ხაჩიშვილს, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსს ბატონ ი. ბათიაშვილს, თავდაცვის მინისტრს ბატონ თ. კიტოვანსა და სხვა შესაბამის ორგანოებს, რაიონების ხელმძღვანელებს, პოლიციის განყოფილებებს, რომ ეს დანაშაული გაიხსნას, ამას მოითხოვს საქართველოს ინტერესები. დამნაშავენი უნდა ვიპოვოთ, დამნაშავენი უნდა დავადგინოთ და უნდა განვუცხადოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ ეს გაკეთდა არა ქართველი ხალხის ხელით, არამედ ეს გააკეთეს ჩვენი ხალხის მტრებმა. ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება. საქართველოს საზოგადოებრიობა შეუერთდება ამ სიტყვებს.

უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოში

23 იანვარს გაიმართა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა წვევამდელთა არმიაში გაწვევის საკითხი.

განხილვის წინ საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა განცხადება თბილისში წინა დღით მომხდარი ინციდენტის და სომხეთში მიმავალი გაზსადენის აფეთქებასთან დაკავშირებით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალმა ანატოლი კამკამიძემ თავის გამოსვლაში ისაუბრა ჯარში გაწვევის სადღეისო ვითარებაზე. მოიყვანა კონკრეტული ფაქტები და მაგალითები, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ბოლო პერიოდში ამ მხრივ გარკვეული სიძნელეები შეიმჩნევა, მთელ რიგ რაიონებში გაწვევის გეგმები არ სრულდება.

ამ საკითხის გამო თავისი მოსაზრებები გამოთქვეს თბილისის რაიონების გამგებლებმა სამხედრო განყოფილებების უფროსებმა, რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა თედო ნინიძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა თემურ ხაჩიშვილმა.

მწვავე და კონსტრუქციული იყო ქალაქის მერის კოტე გაბაშვილის გამოსვლა. მან ისაუბრა იმ განუკითხაობაზე, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით კონფლიქტის ზონაში. მერის აზრით, სანამ კანონები არ ამოქმედდება, არ განხორციელდება რადიკალური ზომები ჯარისკაცთა ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად, სანამ არ აღდგება მიძინებული მოქალაქეობრივი აზროვნება — მანამ საქმეს არ ეშველება.

ჩვენში გამეფებულ ინდიფერენტულ განწყობილებაზე ისაუბრა უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა იოსელიანმა. მისი აზრით, დღეს არსებული მძიმე კრიმინოგენული სიტუაციიდან გამომდინარე, როცა მარტო პოლიცია ვერ უმკლავდება მოძალებულ ბოროტმოქმედებას, საჭიროა აღდგეს მოქალაქეთა სადღეღამისო მორიგეობა, რათა ყველამ საკუთარი სახლკარი, ქუჩა და ეზო დაიცვას.

სხდომის მუშაობა შეაჯამა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. იგი დაეთანხმა გამომსვლელთა შენიშვნებსა და წინადადებებს, ხაზი გაუსვა, რომ ერთიანი ჯარის შექმნა უპირველესი გადაუდებელი ამოცანაა, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში არა მარტო თავდაცვის სამინისტრომ, არამედ ყველა უწყებამ, დაწესებულებამ, მოქალაქემ უნდა იაქტიუროს. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ყველა ღონეს ხმარობენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ როდის დამთავრდება ომი, ერთიანი არმია მაინც უნდა შეიქმნას და თან, რაც შეიძლება სწრაფად. საჭიროა ჩამოვიყვანოთ რუსეთის არმიაში მყოფი ქართველი ოფიცრები, რომლებსაც ქმედითი დახმარების გაწევა შეუძლიათ. საჭიროა მკაცრად გაკონტროლდეს რესპუბლიკის სამხედრო განყოფილებათა მუშაობა. ხალხში პატრიოტიზმის გრძნობების ასამაღლებლად საქართველოს ტელევიზიამ უნდა მოამზადოს ქართული ეროვნული არმიის შექმნის პროცესის ამსახველი სპეციალური გადაცემები, იგივე თემას დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს პრესამ. გაზეთების დამოუკიდებლობაში, რა თქმა უნდა, არ ჩავერევით, მაგრამ, როცა საქმე საქართველოს გადარჩენას ეხება, ნებისმიერი მათგანი, განურჩევლად პოზიციისა, ერისათვის საჭირო ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს.

ქვეყნის მეთაურმა სხდომის მონაწილეებს აცნობა, რომ მომზადდა „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის შესახებ“ დადგენილების პროექტი, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ, სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი გაწვეულთა განთავსების, საჭირო საყაზარმო ფონდის დროული მომზადების ეკიპირებით, კვებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფისათვის. გაწეული მუშაობის შედეგები უშიშროების და თავდაცვის საბჭოს 1993 წლის 20 თებერვლამდე უნდა მოხსენდეს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

რუსეთის ფედერაციის თბილისის საელჩოს ნოტა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს

რუსეთის ფედერაციის თბილისის საელჩო ადასტურებს თავის პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი და აქვს პატივი აცნობოს შემდეგი:

22 იანვარს 14 საათსა და 30 წუთზე ქ. თბილისში ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის დაცვისა და მომარაგების ბაზას ყაჩაღურად დაესხა თავს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სამხედრო პირთა ჯგუფი 50-ზე მეტი კაცის შემადგენლობით, რომლებიც მოქმედებდნენ ოთხი სატვირთო ავტომანქანით ამოსაცნობი ნომრების გარეშე. თავდამსხმელები, რომლებმაც გამოიყენეს ბაზაში მოსწავლეებით დატვირთული მანქანის მოსვლის მომენტი, ცენტრალური ჭიშკრისა და ღობის გავლით შეიჭრნენ ბაზის ტერიტორიაზე, ამასთან გახსნეს ავტომატური იარაღის უწესრიგო ცეცხლი, ბლოკადაში მოაქციეს ყარაული, სამორიგეო სამსახური და პირადი შემადგენლობა, რომელიც ამ მომენტში ყაზარმაში იმყოფებოდა. ყაზარმის შენობის ხელში ჩაგდებისას თავდამსხმელებმა დახვრიტეს რუსეთის სასაზღვრო ჯარების ორი სამხედრო მოსამსახურე (ა. ვ. ბოლოსკოკოვი და ს. ვ. კოკორკინი). თავდასხმის შედეგად ხელთ იგდეს ას ერთეულზე მეტი იარაღი, 80 ათასამდე საბრძოლო მასალა, 2 ავტომანქანა და სხვა სამხედრო ქონება.

ყაჩაღური თავდასხმის გარემოებანი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული სამხედრო აქცია.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ყოველივე ეს მოხდა რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციათა მორიგი სხდომის წინ, როცა ცნობილი გახდა, რომ სასაზღვრო საკითხებში ექსპერტთა წინასწარ მოლაპარაკებაზე უკვე მიღწეული იყო პოზიტიური შედეგები.

ამ ყაჩაღურ თავდასხმასა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების ორი შეუიარაღებელი სამხედრო მოსამსახურის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით საელჩო მტკიცე პროტესტს აცხადებს და დაჟინებით მოითხოვს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა სასწრაფოდ მოაწყონ მომხდარის ყოველმხრივი გამოძიება და სანიმუშოდ დასაჯონ ბრალეულნი.

საელჩო ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმები სისტემატური ხდება. მარტო 1992 წელს ასეთი თავდასხმების შედეგად დაიღუპა რუსეთის ჯარების 46 სამხედრო მოსამსახურე და 6 მესაზღვრე. საელჩო გამოთქვამს რწმენას, რომ ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფალნი განახორციელებენ უკანასკნელ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით, საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ ეს ტენდენცია, რომელიც ეწინააღმდეგება მხარეების განზრახვას ცივილიზებულად გადაჭრან საქართველოს ტერიტორიაზე რუსი მესაზღვრეებისა და სხვა სამხედრო მოსამსახურეების დროებით ყოფნასთან დაკავშირებული საკითხები, საფუძველი ჩავუყაროთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრობას, კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობას.

საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაუდასტუროს საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი პატივისცემა.

თბილისი. 1993 წლის 22 იანვარი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო ნოტა

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ადასტურებს თავის პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოსადმი და მისი 22 იანვრის ნოტის პასუხად პატივი აქვს აცნობოს შემდეგი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური, გამოხატავს რა ქვეყნის მოსახლეობის აზრს, გმობს შეიარაღებულ პირთა ჯგუფის თავდასხმას ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის დაცვისა და მომარაგების ბაზაზე, რაც 1993 წლის 22 იანვარს მოხდა, და დიდად უთანაგრძნობს რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებსა და ახლობლებს.

23 იანვარს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განცხადებაში შესაბამისი დავალებანი მიეცათ გენერალურ პროკურორს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელსა და რესპუბლიკის სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, დაუყოვნებლივ განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მომხდარის გარემოებათა გამოძიებისა და ბრალეულთა დასჯისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მომხდარი ამბავი მიაჩნია ბანდიტურ აქციად, რომელიც აშკარად გამიზნულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაუარესებისათვის. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ეს ბარბაროსული აქტი ჩადენილ იქნა ორი ქვეყნის სახელმწიფო დელეგაციებს შორის მოლაპარაკების მესამე რაუნდის დაწყების წინ.

სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს კვლავ დაუდასტუროს თავისი პატივისცემა.

თბილისი, 1993 წლის 24 იანვარი

აფხაზეთის ომის დასასრული შორს აღარ არის

ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ მოსკოვის რადიოსადგურ „მაიაკის“ კორესპონდენტთან

— რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მესამე რაუნდი თბილისში დათქმულ დროს დაიწყო და ვფიქრობ, რაიმე პრობლემები, რომლებიც ხელს შეუშლის მათს გაგრძელებას და წარმატებით დამთავრებას, არ არსებობს, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მოსკოვის რადიოსადგურ „მაიაკის“ კორესპონდენტთან საუბარში დღეს, 25 იანვარს. — ერთადერთი, რაზეც კამათი იყო, ის არის, თუ როგორი წესით მოხდება მომავალში დოკუმენტების ხელმოწერა — ერთად მთელი პაკეტისა, როგორც დიპლომატები ამბობენ, თუ ცალ-ცალკე ხელშეკრულებების მიხედვით. გუშინ ეს საკითხიც გადავწყვიტეთ და დოკუმენტებს ერთად მოვაწერთ ხელს. ამ კვირაში შავ სამუშაოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანად დავამთავრებთ, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

ამ დღეებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე საქართველოს პარლამენტში გამართულ ბჭობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ამ ბჭობამ წარმატებით ჩაიარა და ძირითადად დადებითი შეფასება მიეცა ორივე მხარის ძალისხმევას ურთიერთობათა გაუმჯობესებისათვის. რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს, რომელიც გაჭიანურდა, ვფიქრობ, მისი დასასრულიც არ უნდა იყოს შორს, იგი დამთავრდება ან რუსეთის მონაწილეობით, ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და უშიშროების საბჭოს სამშვიდობო მისიების წყალობით, — ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — სხვათა შორის, რუსეთი ამას გაგებით ეკიდება.... მერე კი ამ ღონისძიებებს მოჰყვება ქართველთა და აფხაზთა დიალოგი. თუ ჩვენ მოსკოვის შარშანდელი 3 სექტემბრის შეთანხმებას დავეყრდნობით, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება უთუოდ დაჩქარდება და ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ადამიანთა მსხვერპლი, რომელიც ორივე მხარეს კვლავ არის, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ რადიოსადგურ „მაიაკის“ კორესპონდენტთან საუბარში.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

შეხვედრა რუსეთის დელეგაციასთან

23 იანვარს საღამოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც საგანგებო ელჩი ფელიქს კოვალიოვი ხელმძღვანელობს.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე საუბრის დასაწყისში შეეხო 22 იანვარს თბილისში მომხდარ ინციდენტს, რომლის შედეგად ბანდიტთა ჯგუფმა დაარბია რუსეთის არმიის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი და დაიღუპა ორი სამხედრო მოსამსახურე. სახელმწიფოს მეთაურმა ბრძანა, რომ ამ სამწუხარო ფაქტის შესახებ მან უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომელშიც მკაცრად დაგმო ეს ვანდალური აქტი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მსვლელობისას ეს სამწუხარო, აღმაშფოთებელი ფაქტი უფრო შეგნებულ პროვოკაციას მოგვაგონებს, რომლის მიზანია ჩვენს ქვეყნებს შორის მოლაპარაკების მესამე რაუნდის შეფერხება. ამ ინციდენტის გამოძიება უკვე დაიწყო. მას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი თედო ნინიძე, მონაწილეობენ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები. ქვეყნის მეთაურის აზრით, არ უნდა დავუშვათ, რომ ამ ფაქტმა ხელი შეუშალოს მოლაპარაკების განგრძობას.

რუსეთის საგანგებო ელჩმა მადლობა მოახსენა ამ ფაქტის ასეთი შეფასებისათვის, თუმცა, დასძინა მან, სამხედრო ნაწილზე, გუშინდელი თავდასხმა პროფესიულ დონეზე იყო ორგანიზებული, რაც განასხვავებს მას წინათ მომხდარი შემთხვევებისაგან. ფაქტია, რომ საქართველოში — ბრძანა ელჩმა, სამწუხაროდ, შეიმჩნევა რუსი სამხედრო მოსამსახურეებისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რის შედეგად იღუპებიან ჯარისკაცები. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ შექმნილი ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად. მით უმეტეს, რომ დღეს რუსეთის საზოგადოებრიობისა და პარლამენტის ნაწილში სუფევს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საქართველო-რუსეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებისადმი. ვშიშობ, რომ მომხდარ ინციდენტს მოწინააღმდეგენი თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ.

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ბატონმა ფელიქს კოვალიოვმა იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება და დასრულებულ სახესაც მიიღებს. მით უმეტეს, რომ, უკვე მზადაა რუსეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების მთელი პაკეტი.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა, რომ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით 22 იანვარს საქართველოს პარლამენტში გაიმართა კამათი, რომელმაც ცხადყო, რომ პარლამენტართა უმრავლესობა დადებითად ეკიდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციას. საჭიროა მხარეებმა განაგრძონ დიალოგი და საბოლოოდ შეთანხმდნენ.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ჩოხატაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს გრიგოლ ცინცაძე ჩოხატაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

* * *

გრიგოლ ბიძინას ძე ცინცაძე დაიბადა 1956 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ფარცხმაში. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, წლების მანძილზე ჩოხატაურის რაიონში მუშაობდა აგრონომად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, სასურსათო კომბინატის დირექტორად. 1992 წლის ნოემბრიდან ასრულებდა ჩოხატაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ყვარლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს თამაზ იმედაშვილი ყვარლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

* * *

თამაზ ფირუზის ძე იმედაშვილი დაიბადა 1956 წელს ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ასპირანტურა. არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ლაბორანტად, აგროქიმიის კათედრის სასწავლო-სამეურნეო ლაბორატორიის გამგედ, 1992 წლის ოქტომბრიდან — ყვარლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

საქართველო და რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან

თბილისი. 25 იანვარს საქართველოსა და რუსეთის სამთავრობო დელეგაციებმა დაიწყეს მოლაპარაკების მესამე რაუნდი. მოლაპარაკება გასულ შაბათს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გადაიდო არასასიამოვნო ინციდენტთან — თბილისის რაიონში მესაზღვრეთა ბაზაზე თავდასხმასთან დაკავშირებით.

რუსეთის დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი ფელიქს კოვალიოვი, საქართველოს დელეგაციას — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელი უნდა ითქვას

კეისარს—კეისრისა!

ანუ ყველას თავისი საკადრისი უნდა მიეზღოს

ნოდარ ლომოური

ბევრი ვიყოყმანე, სანამ გადავწყვეტდი ამ წერილის დაწერასა და რედაქციაში მიტანას, რადგან ზოგი მწვავე საკითხია მასში დაყენებული, ვიცი — ერთგვაროვანი არ იქნება მასზე რეაგირება და აღარ მინდოდა კვლავ თავი შემეშვირა ათასგვარი სატელეფონო ლანძღვა-გინებისათვის, მუქარისთვის. მაგრამ, ჯერ ერთი, ჩემ მოქალაქეობრივ ვალად ჩავთვალე აზრის გამოთქმა ცალკეულ მოვლენებზე; მეორეც, მე ხშირად მისვამენ სხვადასხვა კითხვებს და მოითხოვენ — ზოგნი კეთილგანწყობილად და ნდობით, სხვანი კი მტრულად და ნიშნის მოგებით — გავცე ამ კითხვებზე პასუხი, არ გავექცე ჩემი პოზიციის გამოთქმას. რასაც ქვემოთ ვწერ, ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია, მე მას არც არავის ვახვევ თავს და იგი სულაც არ მიმაჩნია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად.

1. ერთ-ერთი ყველაზე ხშირი კითხვა, რომლითაც მე მომმართავენ, არის დღევანდელი პარლამენტის მოქმედების შეფასება. ამასთან მავანნი თვითვე იქვე აღშფოთებას გამოთქვამენ პარლამენტით, მისი წევრებით და ჩემგანაც ამგვარი შეფასების დასტურს მოითხოვენ. როგორც ჩანს, მათ ჰგონიათ, რომ, რადგან მე პარლამენტის დეპუტატად არ გავედი, განაწყენებული სიამოვნებით დავუჭერ მათ მხარს. ტყუილი იმედია, პირადული არასდროს ყოფილა ჩემთვის ამა თუ იმ მოვლენისადმი მიდგომის კრიტერიუმი. კიდევ ერთი გასაოცარი პრეტენზია მესმის ხშირად: „ეს რა ჰქენით, რა პარლამენტი შექმენითო!“ თითქოს პარლამენტი ვინმეს შეექმნას და არა ხალხს აერჩიოს! დავუშვათ, რომ მთლიანად მართებულია პარლამენტის უარყოფითი შეფასება, რომ პარლამენტი უვარგისია. კი მაგრამ, ვის ვაბრალებთ ამას, პარლამენტი ხომ ჩვენი, ხალხის არჩეულია, მაშ ის უშუალოდ ასახავს ჩვენს ხალხში არსებულ ღირსებით თუ უარყოფით თვისება-ტენდენციებს. თუ პარლამენტი არ ვარგა, მაშ ხალხის უმეტესობა არ ვარგებულა!

ახლა კონკრეტულად საქმეზე. რასაკვირველია, მეც ვხედავ პარლამენტის უარყოფით მხარეებს. მაგალითად ჩემთვის პირადად სრულიად მიუღებელია პარლამენტში ე. წ. ტრადიციონალისტებისა და მათი ლიდერის აკაკი ასათიანის ყოფნა. მე მწამს, რომ ა. ასათიანი ბოლომდე თანამონაწილეა ყველა იმ დანაშაულებრივი ქმედებისა, რომლებიც ჩადენილი აქვთ გამსახურდიას და მის დამქაშებს. ასეთი მიმტევებლობა ჩემთვის გაუგებარია. რასაკვირველია, ჩემს აღშფოთებას იწვევს ზოგიერთი დეპუტატის არაკორექტული გამოხდომა, მათი მენტორული და კატეგორიული ტონი, მით უფრო, რომ სწორედ მათ, ვინც ამგვარად იქცევა, საამისო არავითარი უფლება და საფუძველი არ გააჩნიათ. ცხადია, მე არ მომწონს, რომ აქ დიდი სიტყვაუხვობაა, ზოგიერთი დადგენილების თუ კანონის მიღება გაუმართლებლად ჭიანურდება, მეორეხარისხოვან საკითხებზე საათობით მსჯელობენ და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს ისევ ჩვენი ეროვნული თვისებების ანარეკლია და საჭიროა დრო, რომ პარლამენტარიზმი ვისწავლოთ. დიახ, ეს ნაკლოვანი მხარეები ჩვენს პარლამენტს ახლავს, მაგრამ საერთო ჯამში, ჩემი რწმენით, პარლამენტი კარგია, მასში არის შესანიშნავი, პროგრესული ძალები და თავისი არსებობის მოკლე მანძილზე მან ბევრი საჭირო, სასარგებლო, აუცილებელი და სწორი კანონი მიიღო. ეს საიმედოს ხდის მის შემდგომ მოღვაწეობას. ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ თანამედროვე პარლამენტი გამსახურდიას დროინდელ უმაღლეს საბჭოზე ერთი თავით მაღლა დგას; მათი შედარებაც არ შეიძლება. ერთი რამ კი კატეგორიულად აუცილებლად მიმაჩნია: უნდა შეწყდეს პარლამენტის სხდომების პირდაპირი ტელე- და რადიოტრანსლაციები. ეს ზოგ დეპუტატს დაუკარგავს ტელეკამერისა და მიკროფონის წინ კეკლუცობისა და პოპულისტური თავის გამოჩენის ხალისს, რაც სხდომებს უფრო მშვიდს, საქმიანს და კონსტრუქციულს გახდის.

2. მეორე საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, უფრო რთული და საჭოჭმანოა. ესაა ამ ბოლო ხანებში ატეხილი ხმაური თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანისა და ჩვენი ეროვნული გვარდიის გარშემო. ბევრს შეიძლება ახსოვს, რომ მე ვიყავი ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე საკმაოდ მკვეთრად გამოვედი გვარდიის და სხვა შეიარაღებულ ფორმირებათა კრიტიკით. ასე რომ, ვერავინ დამწამებს პირფერობას, შიშს ან მამებლობას. მაგრამ ჩემი მაშინდელი გამოსვლა შეურაცხყოფად არავის მიუღია, ყოველ შემთხვევაში არც თ. კიტოვანისაგან, არც გვარდიის სხვა ხელმძღვანელთა, თუ წევრთაგან მე ეს არ მიგრძვნია. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ის გამოსვლა კეთილგანწყობილი იყო. ეს იყო გამოსვლა ადამიანისა, რომელსაც გული სტკიოდა ნაკლოვანებათა გამო, ვინც პირად ტრაგედიად განიხილავდა ზოგიერთთა მიერ გვარდიისათვის სახელის გატეხვას, დიახ, ეს იყო გულისტკივილი და არა ნიშნის მოგება. დღეს კი ბევრნი თითქოს სიხარულით გამოდიან გვარდიის წინააღმდეგ, თითქოს გემოს აყოლებენ გვარდიის და მისი მეთაურ-შემქმნელის ლანძღვას. დღეს ბევრისთვის წესად იქცა ზოგადად გვარდიის განქიქება, მისთვის დაბრალება ათასგვარი ბოროტმოქმედებისა. კი, გვარდიას, სხვა შეიარაღებულ ფორმირებებს, ბევრი ნაკლი აქვთ, ზოგი გვარდიელი დანაშაულს ჩადის, ბევრია მიტმასნილი, ბევრიც გვარდიის სახელით მოქმედებს, მაგრამ, ხალხნო, გაითვალისწინეთ, გაიხსენეთ, რომ ეს გვარდიელები იყვნენ, ვინც თავი გასწირა იმ კომმარული რეჟიმის დასამხობად, რომელიც საქართველოს და ჩვენს ხალხს საბოლოო დალუპვით ემუქრებოდა. ამ გვარდიელებს თუ მხედრიონელებს თავისუფლად შეეძლოთ უარი ეთქვათ ბრძოლაზე, ექსპრეზიდენტის დამქაშებთან მისულიყვნენ, ან სულაც შინ წასულიყვნენ; ამით ხელისუფლების მადლობასა და შესაძლოა ჯილდოსაც დაიმსახურებდნენ. მაგრამ არა, თავი გადადეს, ხალხს ფარად დაუდგნენ, ბევრი შეეწირა კიდეც ამ კეთილშობილ საქმეს. ან გავიხსენოთ, რომ იგივე გვარდიელები იყვნენ შიდა ქართლის მოვლენების დროს საქართველოს მთლიანობას რომ იცავდნენ. მე თვით მინახავს მშიერნი, ყოველივე აუცილებელს მოკლებულნი, როგორ იდგნენ ისინი ფრისთან, ერედვთან, ვანათში. გავიხსენოთ ბოლოს, რომ ისინი არიან, ვინც დღეს აფხაზეთში იბრძვის, სისხლს ღვრის, თავს სწირავს სამშობლოს. მავანნი კი დამდგარან და ხელაღებით ლანძღავენ გვარდიას, მხედრიონს. კი წესრიგი უნდა დამყარდეს, ბოროტმოქმედი — სულ ერთია, გვარდიელი იქნება ის თუ მხედრიონელი, უნდა დაისაჯოს, ყველა შეიარაღებული ფორმირება მკაცრად უნდა დაექვემდებაროს ერთიან სარდლობას და სამხედრო დისციპლინას, ვინც ოფიციალურ შეიარაღებულ ძალებში არ შევა, უნდა დაუყოვნებლივ განიარაღდეს, მაგრამ ყველას ერთიანი ლანძღვა ხომ არ შეიძლება! კუთვნილიც ხომ უნდა მიეზღოს სამშობლოსათვის თავგადადებულ ბიჭებს.

იგივე ითქმის თ. კიტოვანზედაც. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მას ნაკლი არა აქვს, როგორც პიროვნებას, როგორც გვარდიის ყოფილ სარდალს, როგორც თავდაცვის დღევანდელ მინისტრს. კი ბატონო, გავაკრიტიკოთ იგი, მივუთითოთ შეცდომებზე, მაგრამ ისევ და ისევ კეთილგანწყობილად და არა მტრულად. ხოლო თენგიზ კიტოვანი დიახაც ღირსია კეთილგანწყობილებისა; უფრო მეტიც, იგი ღირსია იმის, რომ ჩვენ ყველამ (გარდა, ცხადია, ექსპრეზიდენტის დამქაშ-მომხრეებისა) მის წინაშე თავი დავხაროთ, როგორც ეროვნული გმირის წინაშე, ვინც თავის დროს საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ გვარდიას, ვინც დროზე აუღო ალღო ნაპრეზიდენტალის პარანოიკულ და დამღუპველ მმართველობას, ვინც თავი გასწირა და ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო ამ მმართველობის დამხობისა. თ. კიტოვანს თავისუფლად შეეძლო მშვიდად ეცხოვრა ძველი რეჟიმის დროს, გარკვეული მდგომარეობა და პატივიც ჰქონდა, მაგრამ მან დაინახა ამ რეჟიმის დამღუპველობა ერისათვის და პირადი კეთილდღეობა არად ჩააგდო, ერის დასაცავად აღდგა თავის გვარდიელებთან ერთად. ვისაც თ. კიტოვანი თბილისის ზღვაზე, ან გასული წლის დეკემბერ-იანვრის დღეებში უნახავს, ჩემს ნათქვამს დაემოწმება და ისეთ თ. კიტოვანს არ დაივიწყებს.

სხვათა შორის, იგივე ითქმის პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუაზეც. მე შემთხვევით არ გამიხსენებია ამ კონტექსტში იგი, რადგან გარკვეულ წრეებში მის მიმართაც ითქმის ძვირი, ხოლო თქვენ გახსოვთ, როგორ გაჭირდა პარლამენტზე მისი დამტკიცება. პარლამენტის ზოგიერთი უარყოფითი მხარე რომ ვახსენე ზემოთ, ერთ-ერთი უპირველესი ის მგონია, რომ დღევანდელ პირობებში საერთოდ შეიძლებოდა საეჭვოდ გამხდარიყო თ. სიგუას პრემიერ-მინისტრობა. ეს არა მარტო პოლიტიკური სიბეცე, არამედ აშკარა უმადურობაც იყო. მაგრამ მე ყველაზე მეტად აღმაშფოთა, პირდაპირ შემძრა ბატონ თ. ქორქოლიანის მიმართვამ თ. სიგუასადმი; „თქვენ ისეთი გზით მოხვედით ხელისუფლებაში, რომ დღეს მაინც უნდა მიხვდეთ, რომ თვითვე თქვათ უარი პრემიერობაზეო“ — სიტყვები შეიძლება ზუსტი არაა, მაგრამ აზრი სწორედ ეს იყო. როგორ, ბატონი თენგიზი რაიმე უკადრისი გზით მოვიდა ხელისუფლებაში?! ეს ხომ აშკარა მკრეხელობაა! მე შეურყევლად მწამს, რომ თ. სიგუა სწორედ ისე მოვიდა ხელისუფლებაში, როგორც ჭეშმარიტ ერის კაცს, მამულიშვილს ეკადრება. მანაც პირადული დაივიწყა, არა მარტო თავი — ოჯახიც გაწირა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თ. სიგუას რომ არაფერი გაეკეთებინა გასული ერთი წლის მანძილზე როგორც პრემიერ-მინისტრს, **ის სწორედ ისეთი გზით მოვიდა, რომ მას ყველაფერი შეეძლება ეპატიოს!** სხვაგვარი შეფასება მხოლოდ ნაპრეზიდენტალის დაუნახავ და გონარეულ მომხრეებს შეიძლება დაებადოს. მით უფრო, რომ ჩვენ ისიც ვიცით, რა უმძიმეს პერიოდში იკისრა თ. სიგუამ დროებითი მთავრობის გაძღოლა, რა არაადამიანური შრომის ფასად მოახერხა ბევრი სიკეთის გაკეთება. ჩემი ღრმა რწმენით, ისევე როგორც თ. კიტოვანი, თ. სიგუაც ჭეშმარიტი ეროვნული გმირია. იგივე ითქმის ჯაბა იოსელიანზეც, რომელსაც მტერ-მოყვარენი ასევე ხშირად გაჰკენწლავენ და კბილს გაჰკრავენ ხოლმე.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მე ბევრ რამეში თ. კიტოვანის უკანასკნელ ინტერვიუებში გამოთქმულ მოსაზრებებს ვერ დავეთანხმები და მეგობრული გრძნობით და გულწრფელი კეთილგანწყობით მინდა ჩემი აზრი გავუზიარო. მე გადაჭრით და კატეგორიულად ვერ დავეთანხმები ბატონ თენგიზს, რომ შარშანდელ დეკემბერ-იანვარში მომხდარი აქცია **სამხედრო გადატრიალება** იყო. რასაკვირველია, ეს იყო **სახალხო გადატრიალება**, შეიძლება ითქვას **სახალხო რევოლუცია.** ბატონ თენგიზს კარგად ახსოვს, რომ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ხალხი აღზევდა, ხალხი დაირაზმა მოძრაობა „დღის“ რუსთაველის საზოგადოების, საზოგადოება „თბილისელის“ გარშემო, გაიფიცნენ და მჯდომარე აქცია დაიწყეს ტელევიზიის თანამშრომლებმა, უნივერსიტეტის ეზოში მათ მხარი აუბა ინტელიგენციამ, შემდეგ მერაბ კოსტავას საზოგადოებამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, სტუდენტობამ. თვით თ. კიტოვანსაც ხომ არაერთგზის განუცხადებია, რომ გვარდია სწორედ ამათ, სწორედ ხალხის დასაცავად გამოვიდა. რასაკვირველია, რეალურად გამარჯვება გვარდიამ და მხედრიონმა მიაღწიეს და ამისთვის ჩვენ მათი დიდად მადლიერნი ვართ, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ხალხის, ინტელიგენციის, პირველ რიგში თბილისელების, შემდეგ კი ახლომდებარე რაიონების მოსახლეობის საყოველთაო მხარდაჭერა რომ არა, გამარჯვება შეიძლებოდა საეჭვო გამხდარიყო.

აბა გაიხსენეთ, ბატონო თენგიზ, დეკემბრის ის ღამე (მგონი 26. XII იყო), როდესაც პრეზიდენტის დამცველი ძალების შემოტევას ელოდით, ტყვია-წამალი გაკლდათ, ხოლო ფილარმონიასთან ზვიადისტთა ბრბო იკრიბებოდა და რუსთაველის პროსპექტისაკენ წამოსვლას აპირებდა. ეს არსებითად ზურგიდან დარტყმას უდრიდა, ხელები შეგეკვროდათ, თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა გერთმეოდათ... ის ღამე შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. თქვენ მაშინ პირადად გვთხოვეთ სასტუმრო „თბილისში“ თქვენთან მყოფ რამდენიმე კაცს — იქნებ რამე იღონოთ და ის ბრბო შეაჩეროთ, აქეთ არ გამოუშვათო. ჩვენ გავედით, ოპერასთან ხალხი, მოქალაქეები იდგნენ, ისინი, ვინც დღე-ღამეს ასწორებდა იქ ყოფნით, რათა საჭირო შემთხვევაში რაიმეთი დაგხმარებოდნენ; ისინი ყველაფრისთვის მზად იყვნენ. მაგრამ საკმაოდ გვიან იყო და ხალხის შედარებით მცირე ჯგუფი დარჩენილიყო: ესენი იყვნენ საზოგადოება „თბილისელის“, რუსთაველის საზოგადოების წევრები, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელნი (მახსოვს ედპ-ს წევრები, ალბათ სხვებიც იქნებოდნენ), სტუდენტები... ჩვენ ავუხსენით შექმნილი ვითარება. იქ მყოფნი აქეთ-იქით გაცვივდნენ და მოხდა სასწაული: სულ რაღაც ნახევარ საათში, ზოგი ტელეფონით, ზოგი უშუალოდ ბინაზე მისვლით გამოძახებულნი, მოჯარდნენ თბილისელები რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, მთავარი ტელეგრაფის წინ, რამდენიმე ათასი მოგროვდა თანდათან. აქ იყვნენ აკადემიკოსები და უბრალო მოსამსახურენი, პროფესორები და სტუდენტები, მსახიობები და ხელოვანები, მამაკაცები და ქალები, ერთი სიტყვით, მოქალაქეები, ხალხის საუკეთესო, გონებაგახსნილი ნაწილი. მათ რამდენიმე ეშელონად გადაკეტეს რუსთაველი და „ზვიადისტთა“ ბრბოს კუდით ქვა ასროლინეს. თქვენ ამ მხრიდან ხელები გაგეხსნათ და საკადრისი აგემეთ „ბუნკერელებს“. იქნებ თქვენ უბრალო და უმნიშვნელო ეპიზოდად მიიჩნიოთ ეს ყოველივე, მაგრამ ეს ეპიზოდი დასტურია იმისა, რა როლს თამაშობდა ხალხი ამ მოვლენებში და იმას მოწმობს, რომ ის არ იყო მხოლოდ [illegible] გადატრიალება. [illegible] ბულ ძალებს დავუკარგავთ დამსახურებას, მაგრამ ნურც სახალხო მოძრაობას დავივიწყებთ. ყველას საკადრისი მივუზღოთ.

აქ რაც მოგახსენეთ, [illegible] თქმა ბევრისთვის მიხდება და ჩემს პოზიციას რომ მოისმენენ, ძალიან ხშირად ამას ასეთ კითხვას მოაყოლებენ: „თუ ეს ასეა, თუ შენ ასე ხარ კიტოვანისა და სიგუასადმი განწყობილი, მაშინ როგორღა აფასებ შევარდნაძეს?“ საკითხის ასე დაყენება მე სრულიად უმართებულოდ და არაკორექტულად მიმაჩნია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია არსებობს. ედუარდ შევარდნაძეს, ისევე როგორც ყველა პატიოსანი და რეალისტურად მოაზროვნე ქართველი, მე უაღრესად ვაფასებ და უდავოდ მიმაჩნია, რომ სწორედ მასზეა დიდად დამოკიდებული ჩვენი ერის აწმყოცა და მომავალიც. უფრო მეტიც, ის ხანი, როცა მე ბატონ ედუარდის მეთაურობით მომიხდა მუშაობა, მის სიახლოვეს ყოფნა, ჩემთვის მარად ბედნიერი და დაუვიწყარი დღეები იქნება. მაგრამ ეს სრულებით არ მიშლის ხელს ფხიზლად და ობიექტურად შევაფასო და, დავაფასო თ. სიგუას, თ. კიტოვანის ღვაწლი და დამსახურება. თ. სიგუაზე ამ კონტექსტში ლაპარაკი ალბათ საერთოდ ზედმეტია, მაგრამ არამართებული, არაკორექტული და მავნეა ე. შევარდნაძისადმი თ. კიტოვანის დაპირისპირებაც. შეიძლება მათ შორის არის რაიმე აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ სერიოზული დაპირისპირება, მჯერა, რომ არაა. არა და ამ აზრთა სხვადასხვაობის ესკალაცია, გაზვიადება, გაბერვა და მკვეთრ დაპირისპირებად მონათვლა, რასაც ამ ბოლო დროს ადგილი აქვს, მე დიდ პოლიტიკურ შეცდომად და მტრის წისქვილზე წყლის მიშვებად მიმაჩნია. რაც შეეხება ყბადაღებულ გადატრიალების მომზადებას, რის ინსპირირებას თ. კიტოვანის მიმართ აკეთებენ, ამას მე საერთოდ სერიოზულად ვერ განვიხილავ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ გადატრიალების ვითომც და მზადების დამადასტურებელი არგუმენტები მე სრულიად არადამაჯერებლად მიმაჩნია, მეორეც, როგორც სავსებით დამაჯერებლად აჩვენა ბატონმა ე. შევარდნაძემ, ამგვარი გადატრიალების ობიექტური, რეალური პირობები ამჟამად არ არსებობს, და მესამეც, მე გამოვდივარ თვით თ. კიტოვანის პიროვნებიდან — არამც და არამც არ მჯერა, რომ დღევანდელ დუხჭირ პირობებში, როდესაც ერს ესოდენ უჭირს, თ. კიტოვანი შეიძლება თავისი ერის წინააღმდეგ წავიდეს.

3. ბოლოს კიდევ ერთი უფრო ზოგადი საკითხი. ახლა, როდესაც ცხოვრება უზომოდ გაჭირდა, ჯერ კიდევ შემორჩენილი ნაპრეზიდენტალის გაქსუებული მომხრეები, ან გონებადაბინდული ადამიანები, უსინდისოდ სარგებლობენ გამწარებული ხალხის უკმაყოფილებით და იწყებენ ქოთქოთს: „აი, ახლანდელი მთავრობა ქვეყანას ვერ უვლის, რა დღეში ჩაგვყარეს; ეცლიათ ზვიადისთვის, ის რომ ყოფილიყო...“ აშკარა მტრულ ძალებზე არ მაქვს ლაპარაკი, მათი პოზიცია არც მაინტერესებს. მაგრამ რა ემართება ფართო საზოგადოებას? ზოგს არ ესმის, ზოგს კი არ უნდა გაიგოს, რომ **სათავე ყოველგვარი უბედურებისა სწორედ გამსახურდიას რეჟიმია.** ცხადია, ჩვენთან რაც ხდება, იმ საერთო პროცესების ანარეკლია, რომლებიც მთელი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო უფრო ნაკლებ მტკივნეულად გადაგვეტანა ეს სიტუაცია, გამსახურდიას უნიათო, დანაშაულებრივი, ანტიეროვნული ღონისძიებები რომ არ ყოფილიყო: სამტრედიის აქცია, რუსეთისათვის სიცილისმომგვრელი „ბლოკადის“ გამოცხადება, მილიონობით ფულის ფლანგვა და პირადი საჭიროებებისათვის გამოყენება, ოსეთისა და აფხაზეთის ეთნოკონფლიქტების პროვოცირება, განვლილი წლის აღურაცხელი დივერსიები, აფეთქებები, მატარებლების ძარცვა და მრავალი სხვა, განა ეს ნაპრეზიდენტალის რეჟიმის ნამოქმედარი და „დიდი მესიის“ კურთხევა-ხელმძღვანელობით ჩადენილი აქციები არაა. ყოველივე ამან ხომ მილიარდობით ზარალი მოუტანა ჩვენს რესპუბლიკას და როგორ გინდა ამ ზარალის ანაზღაურება და მისი დაძლევა. ან ვიყოთ გულახდილნი! განა აფხაზეთში წამოწყებული ომი, მისი წარუმატებლობა და ესოდენ გაჭიანურება ბრალად არ ედება მნიშვნელოვანწილად აფხაზეთის ქართული მოსახლეობის საგულისხმო ნაწილს, რომელიც ჯიუტად ეპოტინებოდა ნაპრეზიდენტალის ერთგულებას. სწორედ მათი კონფრონტაციის იმედით გაბედა არძინბამ და მისმა ანტიქართულმა ხროვამ ომის დაწყება... და რამდენ ხანს იყვნენ ეს ძველი რეჟიმის ერთგულნი განზე გამდგარნი, მხოლოდ ახლა, გაგრა-ლესელიძის ტრაგედიის და გამსახურდიას მიერ არძინბასათვის აშკარა მხარდაჭერის გამომჟღავნების მერე, მოეგენ ისინი გონს. განა ეს ძველი ავტორიტარული რეჟიმის შედეგები არაა. ნუთუ აქ შეიძლება ჭკუათმყოფელ ადამიანს სხვა აზრი ჰქონდეს?! შევიგნოთ ეს ბოლოს და ბოლოს, და უტრანსპორტობით განაწამებმა ფეხით მოსიარულეებმა, თუ პურის რიგებში მდგომმა ხალხმა, თუკი ვინმეს ვლანძღავთ, ნამდვილ დამნაშავეს მივმართოთ და არა იმათ, ვინც დღელამეგასწორებული შრომით ცდილობს ამ საშინელი მემკვიდრეობიდან თავის დაღწევას.

ასე რომ, ყველას საკადრისი უნდა მივუზღოთ!

შეხვედრები სამაჩაბლოში

მართალია, ამ ბოლო ხანს, შედარებით სიმშვიდეა სამაჩაბლოში, ყოფილი ცხინვალისა და ზნაურის რაიონების სოფლებში, მაგრამ მოსახლეობას სხვა სოციალური თუ ყოფითი ხასიათის პრობლემებიც აწუხებს. ამიტომაც, არის, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობას სისტემატურად ხვდებიან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, სახელმწიფო მინისტრი ომარ ელოშვილი, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ და ხშირ შემთხვევაში აკმაყოფილებენ კიდეც მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ასე იყო ამჯერადაც. დიდი ლიახვის სოფლის მცხოვრებლებთან შეხვედრისას ომარ ელოშვილმა აღნიშნა, რომ ყოველ სოფელს შეფობს საქართველოს ეკონომიკურად ძლიერი ქალაქები, და რაიონები, და რომ ამ ღონისძიებას კონკრეტული საქმეებიც მალე მოჰყვება. მაგალითად, დედოფლისწყაროელებმა, სოფელ ქემერტის მოსახლეობას უკვე უფასოდ შეუტანეს 10 ტონა პურის ფქვილი. სხვა სახის პროდუქტებსაც მალე მიიღებენ. კარგი იქნება, თუ დედოფლისწყაროელებს სხვებიც მიბაძავენ.

განსაკუთრებული მსჯელობა გაიმართა იარაღის ამოღების თაობაზე. სოფელ ერედვში შეკრებილმა პატარა ლიახვის სოფლების მოსახლეობამ სამართლიანი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მათი განიარაღებით ისარგებლებენ ოსი ექსტრემისტები და სხვა ბანდები და შეაწუხებენ ისედაც საკმაოდ სისხლდადენილ ხეობას. ამიტომ გამოითქვა მოსაზრება, შეიქმნას გვარდიის შენაერთი ან შინაგანი ძალის ბატალიონი ადგილობრივი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობისაგან. მით უმეტეს, რომ მათ იარაღიც აქვთ. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა ომარ ელოშვილმა და აღუთქვა, რომ საკითხს დააყენებს შესაბამისი სამინისტროების წინაშე.

საინფორმაციო სააგენტო „კონტაქტი“.

აქ ტრიალ ქვეყანაზე

პირველი ეტაპი დამთავრდა

კისლოვოდსკში დამთავრდა ინგუშეთ-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების შემთანხმებელი კომისიის მუშაობის პირველი ეტაპი. დახურული სხდომების შემდეგ რაიმე საჯარო განცხადება არ გაუკეთებიათ. მაინც გახდა ცნობილი, რომ ინგუშეთისა და ოსეთის მხარეებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც გადმოცემულია მათი პოზიცია, შემდგომი მოლაპარაკების თაობაზე. ამ კომისიის შემდეგი სხდომა ჩატარდება მას შემდეგ, რაც დელეგაციები გააცნობენ შრომით კოლექტივებს და საზოგადოებრივ მოძრაობებს კისლოვოდსკში დამთავრებული მოლაპარაკების შედეგებს, გაითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს, თუ რა უნდა იღონონ მშვიდობის მიღწევის ძნელ გზაზე. მიზანშეწონილად მიიჩნიეს, აგრეთვე, რომ ინგუშეთის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ ოსეთში მოგზაურობის დროს მონაწილეობა მიიღონ დაღესტნისა და სტავროპოლის წარმომადგენლებმა, რომლებიც მოლაპარაკებაზე შუამავლობდნენ.

მოითხოვენ გაეროს უშიშროების საბჭოს სასწრაფო მოწვევას

ვინაიდან გრძელდება ხორვატიის აგრესიული მოქმედება სერბთა კრაინის წინააღმდეგ, იუგოსლავიის პრეზიდენტმა დობრიცა ჩოსიჩმა მოიწვია ქვეყნის თავდაცვის უზენაესი საბჭოს სხდომა და მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭომ დაუყოვნებლივ განიხილოს ხორვატიის აგრესიის საკითხი.

ხორვატიის პრეზიდენტმა ტუჯმანმა არ უარყო ხორვატიის ჯარის რეიდი კრაინაში, როგორც მან თქვა, დანგრეული ხიდის აღსადგენად და დასძინა, რომ მან ჯარები შეტევის დამთავრების შემდეგ უკან დააბრუნა. დასავლეთის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს ინციდენტი არ შეუშლის ხელს ჟენევაში სერბია-ჰერცეგოვინის სამი თემის წარმომადგენლების მოლაპარაკებას, რომელზეც მშვიდობიანი მოწესრიგების საირუს ვენსისა და დევიდ ოუენის გეგმას იხილავენ.

კურსი არ შეიცვლება

კვირას ვაშინგტონში სი-ენ-ენის ტელეპროგრამით გამოსვლისას თეთრი სახლის პრეს-მდივანმა დიდი მეიერსმა დაადასტურა, რომ „ყარაულის შეცვლამ“ ვაშინგტონში ვერ შეცვალა ამერიკის შეერთებული შტატების კურსი ერაყის მიმართ. მან თქვა, „კლინტონის ადმინისტრაცია იმავე პოლიტიკას განაგრძობს, რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია ატარებდა“.

ამერიკელთა აზრით

ამერიკულ ჟურნალ „ნიუსუიკისათვის“ გელაპის ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამერიკელთა უმრავლესობა თვლის, რომ პრეზიდენტი ბილ კლინტონის დიდმნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტისას უფრო მტკიცედ იმოქმედებს ვიდრე, მისი წინამორბედი ჯორჯ ბუში. ასე მაგალითად, გამოკითხულთა 62 პროცენტს მიაჩნია, რომ კლინტონი გაცილებით უფრო მეტ ზემოქმედებას მოახდენს იაპონიაზე, ვიდრე ამას ბუში აკეთებდა, რათა ეიძულებინა ტოკიო მოეხსნა ამერიკული საქონლისათვის სავაჭრო დაბრკოლებები, რაც შესაძლებელს გახდის იაპონიასთან ვაჭრობის უარყოფითი სალდოს შემცირებას. 52 პროცენტის აზრით, ახალი პრეზიდენტი მეტ ძალისხმევას გამოიჩენს, რათა დაარწმუნოს ისრაელი უფრო მოქნილი მიდგომა გამოიჩინოს არაბულ ქვეყნებთან მოლაპარაკებაზე. მხოლოდ ერთადერთ საკითხში უპირატესობა ბუშის მხარეზე აღმოჩნდა: 44 პროცენტი 42 პროცენტის წინააღმდეგ მიიჩნევს, რომ ყოფილი პრეზიდენტი მაინც უფრო მტკიცედ დაუჭერდა მხარს ძალის გამოყენებას, რათა აიძულოს სერბები შეასრულონ ბოსნია-ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში მათი საბრძოლო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების ფრენის აკრძალვის გაეროს რეზოლუცია.

დიდი დანაკლისი

63 წლისა გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი მსახიობი ოდრი ჰეპბერნი, რომელიც ბოლო წლებში გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩი იყო.

განცხადებაში, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა ჯეიმს გრანტმა გააკეთა, ნათქვამია: „ოდრი უნიკალური ადამიანი იყო როგორც კინოვარსკვლავი და როგორც გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩი. იგი, როგორც მთელი დედამიწის ბავშვთა დამცველი, არაერთგზის სწვევია ქვეყნებს, რომელთა პატარა მოქალაქენი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობენ. მისი მოღვაწეობა ხელს უწყობდა არა მარტო ფინანსურ შეწირულობათა შეგროვებას, არამედ საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებასაც, ბავშვთა მდგომარეობისადმი ყურადღების გაძლიერებას“.

გარდაიცვალა კობო აბე

ამ დღეებში ტოკიოს ჰოსპიტალში 68 წლისა გარდაიცვალა ცნობილი იაპონელი მწერალი კობო აბე, ავტორი ისეთი გახმაურებული რომანებისა, როგორიცაა „ქალი ქვიშაში“, „ადამიანი ყუთი“, „უცხო სახე“. გამოჩენილი იაპონელი რომანისტისა და დრამატურგის შემოქმედების ძირითადი თემა იყო პიროვნების გაუცხოებისა და ადამიანის მიერ თავისი ინდივიდუალობის დაკარგვის პრობლემები თანამედროვე საზოგადოებაში.

ჯონი ლატარია:

„გაგრას მთელმა საქართველომ ვერ უპატრონა“

აქტუალური ინტერვიუ

ამ დღეებში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშნა ბატონი ჯონი ლატარია, რომელიც გაგრის აღებამდე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს რწმუნებული იყო ამ რეგიონში და, ბუნებრივია, ყველა იმ მოვლენის აქტიური მონაწილე, რომლებიც გაგრაში მოხდა მიმდინარე წლის 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე.

ინტერვიუ, რომელიც მას ჩვენმა კორესპონდენტმა ჩამოართვა, უმთავრესად სწორედ გაგრის ამბებს ეხება.

— **ბატონო ჯონი, მას შემდეგ, რაც მტერმა გაგრა თითქმის უბრძოლველად აიღო და საქართველოში ერთბაშად ათიათასობით ლტოლვილი გაჩნდა, ხშირად გვესმის სიტყვები: „გაგრა გაიყიდა“, „გაგრა ჩააბარეს“. გაგრის ამბებს დღეს რესპუბლიკის პროკურატურა და საპარლამენტო კომისია იძიებენ, მაგრამ მკითხველისათვის, ვგონებ, უინტერესო არ იქნება თქვენი პოზიცია გაგრის ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების მიმართ, მით უფრო, როცა გაგრიდან ლტოლვილები „გამყიდველთა“ სიაში, არ დაგიმალავთ და, თქვენს გვარსაც ხშირად ასახელებენ.**

— მე მესმის დღეს ჩემი გაუბედურებული და ფუძემოშლილი გაგრელების. ძალიან კარგად მესმის და ამიტომ მზად ვარ მათგან ყველაფერი ავიტანო, ჩვენ მათ მართლაც ვუღალატეთ, ჩვენ, ყველამ, ვისაც გაგრის მოვლა-პატრონობა და დაცვა გვევალებოდა. დიახ, ჩვენ ვერ ვუპატრონეთ გაგრას, ვერ დავიცავით. მეტსაც გეტყვით — გაგრას მთელმა საქართველომ ვერ უპატრონა, იგი ჩვენ ყველამ ერთად გავწირეთ, ჩვენმა ორად გახლეჩამ, უდისციპლინო და არაორგანიზებულმა საქართველომ შეიწირა ამდენი უდანაშაულო ადამიანი. ჩვენ რომ შიგნით ერთიანობა გვქონოდა და იმ ყველაზე ძნელ და გადამწყვეტ დღეებში მაინც მოგვეთოკა ჩვენი გადაჭარბებული პატივმოყვარეობა და კერპთაყვანისმცემლობა, ეს ამბები, ალბათ, საერთოდ არ მოხდებოდა.

ამიტომ როდესაც დღეს გაგრის გაყიდვაზე თუ ჩაბარებაზე ვლაპარაკობთ, ყოველივე ამას კარგად უნდა ჩავუფიქრდეთ და სწორი განაჩენი გამოვუტანოთ, უწინარესად საკუთარ თავს. რაც შეეხება „გამყიდველთა“ სიას, მას, ალბათ, ყველაზე უკეთ გამოძიება დააკონკრეტებს, და ყველა, იმედია, მალე გაიგებს, თუ ვის ან რას მიუძღვის მთავარი ბრალი მომხდარ უბედურებაში. მე არ მინდა ამ სიტყვებით პასუხისმგებლობა მოვიხსნა და თავის მართლებას შევუდგე, მაგრამ სათქმელი, რაკი ამის შესაძლებლობა მომეცა, მაინც უნდა ვთქვა:

— გაგრის მოახლოებულ უბედურებას მე რამდენიმე ხნით ადრე ვგრძნობდი, და როცა ეს საჯაროდ განვაცხადე, ბევრმა „პანიკიორი“ შემარქვა. ერთხელ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზეც „გამწკიპლეს“ — ფერებს ამუქებ და ხალხს ტყუილუბრალოდ აშინებო. დღე ისე არ გავიდოდა, ჩემთვის „პიკის საათიდან“ არ დაერეკათ. იმედი მაქვს, ამ პროგრამას შემორჩა ჩემგან მიღებული „გამუქებული“ თუ „გაშავებული“ მასალები, რომლებშიც ვცდილობდი არაფერი დამემალა, სამხედრო საიდუმლოების გარდა. რა თქმა უნდა, ჩემი ზედმეტი გულახდილობით გაღიზიანებულმა ერთმა სამხედრო პირმა ისიც კი მითხრა, შენ როგორმე ჯარისკაცების კვების საკითხი მოაგვარე, ქალაქს მიხედე, ხოლო სამხედრო საქმეებს თავადაც მოვუვლითო. სწორიც იყო: აბა, რომელი გენერალი მე ვიყავი, მათთვის ჭკუა მესწავლებინა.

— **თქვენ, როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და აფხაზეთში მდგომარეობის სტაბილიზაციის დროებითი კომიტეტის რწმუნებულს, ფაქტობრივად, მთელი ქალაქი გებარათ...**

— მას შემდეგ, რაც გაგრის ადმინისტრაციის მეთაური რუსლან იაზიჩბა ქალაქიდან გაიქცა და გუდაუთაში „არძინბას რაზმს“ შეუერთდა, ოფიციალურად დამევალა ქალაქის ხელმძღვანელობა. ჩემს ფუნქციებში შედიოდა პარალიზებული სამეურნეო სტრუქტურების ამოქმედება იმდენად, რამდენადაც ეს საომარ პირობებში იყო შესაძლებელი, კერძოდ: ქალაქის სურსათით მომარაგება, მძევალთა გაცვლა, დაჭრილთა მოვლა-პატრონობა, ქალაქში სანიტარიული წესრიგის დამყარება და ა. შ. თავის ქებად თუ არ ჩამომერთმევა, ვიტყვი, რომ ყველაფერი ეს გაგრაში არცთუ ცუდად კეთდებოდა, თუმცა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა და დედაქალაქის აქტიური მხარდაჭერა რომ არა, მარტო ჩვენ რას გავხდებოდით იზოლირებულ ქალაქში. სისტემატური კავშირი მქონდა ბატონ თენგიზ სიგუასთან, რომელსაც ქალაქის ყველა გასაჭირი გულთან ახლოს მიჰქონდა და ოპერატიულად გვეხმარებოდა. პირველი დღეებიდანვე ჩვენს გვერდით იდგა ბატონი ჯაბა იოსელიანი, აქვე არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით და არ აღვნიშნო რესპუბლიკის წამყვანი ქირურგებისა და პირადად ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ავთანდილ ჯორბენაძის უდიდესი წვლილი ჩვენი დაჭრილი მეომრების ბრძოლის ველიდან გამოყვანისა და მათი სიცოცხლის გადარჩენის საქმეში. გაგრის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილესთან, 2 ოქტომბერს მუხანათურად მოკლულ მიხეილ ჰინჭარაძესთან ერთად ღამეებს ვათენებდით, რათა ქალაქს სამყოფად ჰქონოდა პური. შეღავათიან ფასებში იყიდებოდა ბრინჯი, კარტოფილი, ხახვი, მუშაობდა ბაზარი. არაფერს ვამბობ ჯარისკაცთა სამჯერად კვებაზე, მოხუცებსა და ინვალიდებს მათთვის განკუთვნილი მაღაზიიდან უფასოდ დაურიგდათ პროდუქტები, გაგრაში პენსიონერებს ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში პენსიები არ ჰქონდათ მიღებული, ჩვენ, მართალია, დიდის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც გამოვნახეთ სახსრები და პენსიების გაცემაც დავიწყეთ. საკმარისად გვქონდა საწვავიც, ყოველდღე სამხედრო ფორმირებებს ტონა-ნახევარ საწვავს ვაძლევდით — ამდენი გვჭირდებაო, ამბობდნენ და სხვა რა გზა მქონდა. ისე კი მიკვირდა, თუ რაში ხარჯავდნენ ამდენ საწვავს, თუმცა, საკვირველი რა იყო, როცა გაგრის ერთადერთ ცენტრალურ ქუჩაზე, რომლის დაგვა თუ მოკირწყვლა ბოლო დღემდე არ შეგვიწყვეტია, „ბტრ“-ებით დათარეშობდა ზოგიერთი ვაი-მებრძოლი, სად იყო ამ დროს სამხედრო ხელმძღვანელობა?

მადლობა ღმერთს, დღეს ფერების გამუქებას ვერავინ დამწამებს და ამიტომ შემიძლია თამამად განვაცხადო, თუმც ჩემამდე ეს უკვე ათასგზის ითქვა — გაგრას სამხედრო ხელმძღვანელი, როგორც ასეთი, არ ჰყავდა, ცალკეულ სამხედრო ფორმირებებს კი თავ-თავიანთი მეთაურები ჰყავდათ და თითოეული მათგანი თავისი ჭკუით მოქმედებდა ბრძოლის ველზე. ერთი თვის განმავლობაში გაგრაში დისლოცირებული შეიარაღებული ნაწილების ხელმძღვანელი სამჯერ გამოიცვალა. თავიდან ბარბაქაძე დაინიშნა, შემდეგ დათუაშვილი, ბოლოს კი მარინაშვილი. მაგრამ საქმეს მაინც ვერ ეშველა, სამხედრო ნაწილებში სრული განუკითხაობა და ქაოსი იყო, ხალხი ატყობდა ყოველივე ამას, აშკარად ხედავდა, რა დღეშიც იყო ქალაქი, მაგრამ ყველას რაღაცის იმედი მაინც ჰქონდა, დასაიმედებელ სიტყვებს კი, ოცოცხლეთ, არ იშურებდა სამხედრო ხელმძღვანელობა: — ნუ გეშინიათ, გაგრაში ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო. როცა აფხაზთა ერთ-ერთი მორიგი მუხანათობის გამო გამართულ საპროტესტო მიტინგზე შეკრებილ ქართველებს ამ სიტყვებით მიმართა ერთ-ერთმა სამხედრო ხელმძღვანელმა, წარბიც არ შეტოკებია.

სწორედ ამ იმედით ამუშავდა გაგრაში რამდენიმე წარმოება-დაწესებულება, ამ იმედით წავიდნენ ჩვენი ბავშვები სკოლაში 1 ოქტომბერს, გაგრის აღებამდე ზუსტად ერთი დღით ადრე. 2 ოქტომბერს კი... ყველამ იცის, რაც მოხდა 2 ოქტომბერს.

ამგვარი დაიმედების უფრო თვალსაჩინო მაგალითსაც გეტყვით: მაშინ, როდესაც აფხაზებს გაგრა აღებული ჰქონდათ და ჩვენი სამხედრო შტაბი განთიადში იყო, პრინციპულად მოვითხოვე განთიადისა და ლესელიძის მოსახლეობის ქალაქიდან გაყვანა. ამაზე ერთ-ერთმა მაღალი რანგის სამხედრო პირმა (ვინაიდან საქმე ძიებაშია, გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) მიპასუხა: — რას ლაპარაკობ, ჩვენ ორ-სამ დღეში დავიბრუნებთ გაგრას, ხომ არ დაგავიწყდა, რომ სამშაბათს ეკლესიის გახსნა გაქვს დაგეგმილიო... გაგრელებმა იციან: ეს უბედურება რომ არა, გაგრაში ორ-სამ დღეში მართლა საზეიმოდ უნდა გახსნილიყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თბილისიდან საგანგებოდ გამოგზავნა ჯვრები, ძვირფასი ხატები, სასულიერო ლიტერატურა. ორი-სამი დღის შემდეგ კი, ისევე, როგორც გაგრაში, განთიადსა და ლესელიძეში არც ერთი ნაღმი არ აფეთქდა (!) და მტრის ტანკები, შეიძლება ითქვას, „ჩიტებივით შემოფრინდნენ“.

არავის ეგონოს, როცა ყოველივე ამას ვამბობ, ჩემი თავი უცოდველად მიმაჩნდეს. მე რომ იმავე „მაღალი რანგის სამხედრო პირისთვის“ არ დამეჯერებინა და ჩემი აზრით მემოქმედა, გაგრის ბანკში 28 მილიონ მანეთს არ ჩავუტოვებდით აფხაზებს. არაფერს ვამბობ დიდძალ სურსათზე და, რაც მთავარია, იარაღზე... მე არ ვიცი, ყოველივე ეს რას დავაბრალო — დაბალ სამხედრო პროფესიონალიზმსა თუ უდისციპლინობას. ასეა თუ ისე, უსაფუძვლო თავდაჯერება და ხალხის ფუჭი დაიმედება ომის დროს, მე ვფიქრობ, ღალატის ტოლფასია და ამიტომ მინდა დავიჯერო, რომ მოღალატენი, დღეს თუ ხვალ, ერის სამსჯავროზე წარსდგებიან.

— **დღეს საქართველოში არ მალავენ, რომ აფხაზეთში და, კერძოდ, გაგრაში მართლა მზადდებოდა ქართველთა გენოციდი და 14 აგვისტოს მოულოდნელი შეტაკება რომ არა, გაგრის ქართველებს 24 საათის განმავლობაში უპირებდნენ ამოხოცვას და ქალაქიდან გაყრას, თქვენ, როგორც ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაგრის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს, თუ გქონდათ ამის შესახებ რაიმე ცნობები?**

— ყველამ ვიცოდით, რომ ბიჭვინთაში, ინკიტის ტბის მიდამოებში, იქ, სადაც ადრე რუსეთის სარაკეტო ბაზა მდებარეობდა, წვრთნას გადიოდა ე. წ. აფხაზური გვარდიის გაგრის შენაერთი. გაგრის „მხედრიონი“ რომ ძალზე აქტიურად ჩაერია ამ საქმეში, და აგვისტოს ტრაგედიამდე ორი თვით ადრე, სრული მზადყოფნის მიზნით სანატორიუმ „თბილისში“ დაბანაკდა, აფხაზებს „მოთმინების ფიალა აევსოთ“ და ნაცადი პროვოკაციები წამოიწყეს. გაგრელებს ახსოვთ შეტაკება, რომელიც მაშინ სანატორიუმ „თბილისში“ მოხდა. კონფლიქტი, მართალია, მალე ჩაცხრა, მაგრამ აშკარა იყო, რომ აფხაზები უფრო ფართომასშტაბიანი პროვოკაციისთვის ემზადებოდნენ. გაგრაში გადამალული იყო დიდძალი იარაღი, მზადდებოდა რაღაც უფრო დიდი და საშინელი. ამას მოწმობდა თუნდაც ის, რომ მათ ქალაქიდან გაჰყავდათ თავიანთი ოჯახები — ბავშვები და ქალები. ერთი სიტყვით, აფხაზები რაღაცას გვიწყობდნენ, მაგრამ ამ დროს არც „მხედრიონს“ და გაგრის მილიციის რჩეულ ბიჭებს ეძინათ... დღეს ბევრს უკვირს, თუ როგორ შეძლეს მათ სულ რაღაც 40-კაციანი თითქმის უიარაღო რაზმით კბილებამდე შეიარაღებული აფხაზების ჯერ განდევნა გაგრიდან და შემდეგ კი 4 დღის განმავლობაში, გარედან ძალის დაუხმარებლად, მათი შეჩერება სოფელ კოლხიდასთან. ეს ცალკე თემაა და ამას ალბათ ჩემზე უკეთ, ის ბიჭები იტყვიან. მე კი არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ გაგრის მილიციის ნაწილი, მათთან ერთად ზოგიერთი სომეხიც ნაცვლად იმისა, რომ ქალაქი დაეცვათ და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ეზრუნათ, აფხაზების დასახმარებლად გაიქცა.

— **თქვენ ამჯერად ფრიად საპასუხისმგებლო და რთული უბანი მოგენდოთ. როგორ ფიქრობთ, შეძლებს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი ამდენი გაჭირვებული და უსახლკაროდ დარჩენილი ხალხისთვის საგრძნობი დახმარების გაწევას?**

— საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს, რომელიც ეს-ესაა ჩამოყალიბდა და ბატონი ვალერი ვაშაკიძე ჩაუდგა სათავეში, მართლაც უამრავი საქმე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლტოლვილების პრობლემა დიდი ხანია დგას, დღემდე არ იყო მოწესრიგებული მათი ორგანიზებული, რაღაც კანონებსა და ნორმებს დაქვემდებარებული დახმარების საკითხი. დღეს კი, როდესაც რესპუბლიკაში ლტოლვილთა საერთო რიცხვი 80 ათასამდე ადის და ქვეყანაში ომია გაჩაღებული, მათი უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სურსათით, ტანსაცმლით, ფულით, დროებითი საცხოვრებელი ბინებით, დამეთანხმებით, არცთუ ისე იოლი საქმეა. მხარში უნდა ამოგვიდგნენ დედაქალაქის ყველა რაიონის გამგეობები, საქველმოქმედო ორგანიზაციები. მე არ მინდა დღეს ვინმე დავამშვიდო და ლამაზი სიტყვებით გული მოვულბო, მაგრამ, მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, ჩვენს ქვეყანას მაინც აქვს იმის პოტენციური შესაძლებლობა, ამდენ უსახლკაროსა და გაუბედურებულ ხალხს უპატრონოს. რას ვიზამთ, თუ დღეს ასე გვიჭირს?! ომი ომია და როგორც ყველა სხვა ომს, ამასაც ექნება თავისი დასასრული, და წუთითაც კი არ მეპარება ეჭვი, რომ გაგრელი ქართველი ისევ გაგრაში გააღვივებს თავის ფუძე-კერას, ცხინვალელი — ცხინვალში. საქართველოს კიდევ ექნება ბედნიერი დღეები. სხვა გზა არა გვაქვს — ამ რწმენით უნდა ვიცხოვროთ.

ესაუბრა
ვენერა რურუა.

კარიკატურისტის კომენტარი



ყოველკვირეული „დელოვოი მირ“

საქართველო-ირანი:

ახალი ტურისტული მარშრუტები

ქართველ მოგზაურობის მოყვარულთა რუკაზე მალე ახალი მარშრუტი გაჩნდება — ირანი. მრავალსაუკუნოვანი მეზობელი ქვეყნის, მისი ხალხის, მეცნიერების, ბუნების, კულტურის, ისტორიული ძეგლების, ტრადიციების უკეთ გაცნობის შესაძლებლობას მისცემს ჩვენს მოქალაქეებს ხელშეკრულება, რომელიც ამ დღეებში დაიდო საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს შორის ამ ქვეყანაში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის დროს.

იმის შესახებ, თუ რა პერსპექტივები ისახება ამ დარგში ორი ქვეყნის მომავალ ურთიერთობაში, გვესაუბრება რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე სალია:

— თანამშრომლობის გამომხატველი ეს შეთანხმება არის გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ირანთან ვითანამშრომლებთ, ტურიზმის ყველა სახის განვითარებისათვის — თქვა მან, — მათ შორის: ორგანიზებული, ჯგუფური, ინდივიდუალური, ავტოტურიზმი. ხელს შევუწყობთ სიმპოზიუმების, გამოფენების, მუსიკალური და თეატრალური ფესტივალების გამართვას, მოვაწყობთ ტურისტულ ბირჟებს და ბაზრობებს. მხარეები ერთმანეთს დაეხმარებიან საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციებში მონაწილეობასა და მათ შორის თანამშრომლობის საკითხებში.

შეთანხმების შესრულებაში უდავოდ შეგვიწყობს ხელს ხელშეკრულება, რომელიც დაიდო აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო ავიაციასა და ირანის სატრანსპორტო უწყებებს შორის. ეს დაგვეხმარება პირდაპირი ჩარტერული რეისების მოწყობაში. და ჩვენი ტურისტები 1 საათსა და 20 წუთში მოხვდებიან თეირანში — და პირიქით. შეთანხმება საშუალებას გვაძლევს თეირანის აეროპორტი გამოვიყენოთ, როგორც ტრანზიტის საშუალება საქართველოს ტურისტების სხვა ქვეყნებში გასაყვანად.

ამ დღეებში ირანში ჩავა ჩვენი წარმომადგენელი. იგი შეისწავლის იმ პირობებს, რომლებსაც შეუქმნიან ჩვენს ტურისტებს ირანში მოგზაურობისას, შეიმუშავებენ სხვადასხვა მარშრუტებს.

ნინო თათრულაიძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

აჭარელთა წვლილი

უჭირს საქართველოს, უჭირს აჭარასაც, მაგრამ მიუხედავად ამ გაუსაძლისი მდგომარეობისა, აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო დახმარების ხელს უწვდის განსაცდელში მყოფ თანამემამულეებს. როგორც აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა გივი ცივაძემ გვითხრა, ჰუმანური დახმარების სახით აფხაზეთში გაიგზავნა სხვადასხვა სადეზინფექციო საშუალებები, კერძოდ დეგმიციდი (200 ფლაკონი), სამედიცინო სპირტი (50 კგ), გადასახვევი მარლა (8 ათასი მეტრი), თაბაშირის ბინტი (9 ყუთი), სისხლი (59 კგ), პლაზმა (17 კგ), აზოტის ჟანგი (15 ბალონი) და სხვადასხვა მედიკამენტები, სულ 400 ათასი მანეთისა.

აღნიშნული მედიკამენტები საკუთარი სახსრებით შეიძინა აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ. ბატონმა გივი ცივაძემ ჩვენთან საუბარში ხაზი გაუსვა იმას, რომ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო თავს უყრის ჰუმანური დახმარების მორიგ პარტიას და მას მალე გაგზავნიან აფხაზეთში.

თემურ ბურდილაძე.

იჩქარეთ ობლიგაციების გაცვლა

როგორც ცნობილია, საკავშირო ფინანსთა სამინისტროსა და შემნახველი ბანკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით 1982 წლის ობლიგაციების მიხედვით ყველა ოპერაცია შეჩერებული იყო 1992 წლის იანვრიდან. სწორედ მაშინ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა ბრუნვაში გამოეშვა თავისი ობლიგაციები და მსურველებს შესთავაზა შეეძინათ ისინი ძველის სანაცვლოდ.

— 1992 წლის 15 დეკემბრიდან, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო-კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობის პირველმა მოადგილემ დიზი ტაბატაძემ, — ქართული ობლიგაციები მიიღეს რესპუბლიკის შემნახველმა ბანკებმა. მათი ნომინალური ღირებულება 1000, 5000, 10000 მანეთია. გაცვლის ვადა დადგინდა 1993 წლის 1 იანვრამდე. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ინფორმაციამ ვერ მიაღწია მთელ მოსახლეობამდე, შემნახველმა ბანკმა გადაწყვიტა გააგრძელოს გაცვლის ვადა 1 თებერვლამდე.

— სხვათაშორის, — დასძინა ტაბატაძემ — ქართული ობლიგაციების პირველი ტირაჟი გაიმართება 15 თებერვალს და მაქსიმალური მოგებაა მილიონი მანეთი. გათამაშებები წელიწადში რვაჯერ მოეწყობა. ვისაც არ უნდა ეროვნული ობლიგაციების შეძენა, შეუძლია ძველი ფასიანი ქაღალდების თანხა გადაიტანოს პირად ანაბარზე ან ნაღდი ფული მიიღოს. რაც შეეხება 1982 წლის ობლიგაციის წილად მოსულ მოგებებს, პირველიდან 80 ტირაჟის ჩათვლით, მისი მიღება შეიძლება შემნახველ ბანკებში.

„კავკასიონი": ხელსაყრელი გარიგება

ოცი ათას ტონაზე მეტი სხვადასხვაგვარი სურსათ-სანოვაგე შემოვა საქართველოში ყაზახეთიდან მიმდინარე წელს. კონტრაქტით, რომელიც ფირმა „კავკასიონმა" დადო შუა აზიის ამ რესპუბლიკასთან, გათვალისწინებულია მარცვლეულის, ხორცის, ბრინჯის, სხვადასხვაგვარი ბურღულეულისა და სხვა პროდუქციის მოწოდება.

— სულ მოგვიწევს შევისყიდოთ მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქტები, — განმარტავს ამ ფაქტს ფირმის გენერალური დირექტორი თემურ ჭყონია. მაგრამ ეს საქართველოში პროდუქტების შემოზიდვის ამ წლისათვის დასახული პროგრამის მხოლოდ ნაწილია. ფირმა აფართოებს კომერციულ კავშირურთიერთობებს და აპირებს დადოს შეთანხმებები ყოფილი კავშირის სხვა რესპუბლიკებთანაც.

ყაზახეთთან გარიგება ჩვენთვის უაღრესად ხელსაყრელია. გარდა იმისა, რომ რესპუბლიკა გვაწვდის დეფიციტურ სურსათ-სანოვაგეს, იგი კისრულობს თავისივე ტრანსპორტით მოაწოდოს იგი საქართველოს. კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც აადვილებს ყაზახეთთან ფულად ოპერაციებს: თბილისში გაიხსნა მისი ერთ-ერთი ეროვნული ბანკის ფილიალი.

მხიარული ფოტოობიექტივი



მოლოდინი.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

დივერსია

ააფეთქეს გაზსადენი

გუშინწინ ღამით მოულოდნელი აფეთქების გამაყრუებელმა ხმამ და მძლავრმა ბიძგებმა გადაუარა მარნეულის რაიონის სოფლებს, როგორც გამოირკვა, ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს მიწისქვეშა გაზსადენის 800 მეტრი სიგრძის ტრასა, რომლითაც საქართველოს ტერიტორიის გავლით მეზობელ სომხეთს მიეწოდება იქაური სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის აირი. გაზსადენი ააფეთქეს სწორედ იმ ადგილას, სადაც იგი მდინარე ხრამს გადასერავს. ხუთი რკინა-ბეტონის საყრდენიდან სამი მთლიანად გამოსულია მწყობრიდან, მეოთხე — ნაწილობრივ დაზიანდა და მხოლოდ ერთი გადარჩა, რადგან ნივთიერება არ აფეთქდა. ამ აშკარად წინასწარგანზრახული დივერსიული აქტით სომხეთს მთლიანად შეუწყდა გაზის მიწოდება, და როგორც ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა გვაცნობეს, მისი სახალხო მეურნეობა და მოსახლეობა მეტად მძიმე გასაჭირში ჩავარდა.

ჩვენი რესპუბლიკის მხრივ კი ყველაფერი კეთდება, რათა რაც შეიძლება მალე აღდგეს გაზსადენის მოქმედება. პირველ რიგში ნახევრადდაზიანებული და გადარჩენილი საყრდენებიდან ამოიღეს ასაფეთქებელი ნივთიერებები. ეს გახლავთ თითოეულ საყრდენსა და მილს შორის ჩადებული წნეხილი ტროტილის 25-კილოგრამიანი ყუთები. აღსანიშნავია, რომ ამ ასაფეთქებელ ნივთიერებას მხოლოდ სამხედროები იყენებენ და სამოქალაქო პირების ხელში იგი არ უნდა აღმოჩენილიყო. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

— საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების, კერძოდ, რესპუბლიკის პროკურატურის ბრიგადა შემთხვევიდან სულ მოკლე დროში მივიდა ადგილზე და იძიებს, თუ ვინ ჩაიდინა ეს ბინძური აქცია. საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის საგამომძიებო ბიურომ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ბოროტი დამნაშავენი გამოაშკარავდებიან და საკადრისადაც დაისჯებიან, მაგრამ მომხდარი იმაში გვარწმუნებს, რომ მეტი სიფრთხილეა საჭირო, — გვითხრა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ეროვნული უშიშროებისა და საბაჟო კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა ბატონმა ზაურ კვირკველიამ.

გამოძიების შედეგებს უთუოდ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

დავით ბიწაძე.

კრიმინალური ქრონიკა

● **სამტრედიის** შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა მატარებლის ძარცვის ფაქტზე დააკავეს ქალაქ სამტრედიელი უმუშევრები შალვა მოდებაძე, მარია როსტია, გივი კვერნაძე, ამირან თავაძე და ნაზი კეკელიძე. ნაქურდალი მთლიანად ჩამორთმეულია.

ცხონება

რომან კვერენჩხილაძე

ქართულმა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. საავტომობილო ავარიაში დაიღუპა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რომან კვერენჩხილაძე.

იგი დაიბადა 1933 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილი და გამოჩენილი მეცნიერის — გიორგი გეხტმანის მიერ დამოძღვრილი ახალგაზრდა სწავლის დამთავრებისთანავე იწყებს მუშაობას გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც მან განვლო გზა რიგითი თანამშრომლიდან ინსტიტუტის ხელმძღვანელამდე.

პროფესორ რ. კვერენჩხილაძის გამოკვლევები მოიცავს საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ პრობლემატიკას. მის მრავალრიცხოვან შრომებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრანსპორტის საკითხების მეცნიერული კვლევა, რამაც დამაგვირგვინებელი ასახვა ჰპოვა თვალსაჩინო მონოგრაფიაში „საქართველოს ტრანსპორტის გეოგრაფიული პრობლემები".

სულ ახლახან რესპუბლიკის სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ იხილა გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შექმნილი მეტად საჭირო „საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი", რომლის რედაქტორი და გამოცემის თაოსანი იგი გახლდათ. მისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული შრომების ერთი ნაწილი ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო ლიტერატურაშია შესული.

ბატონი რომანი იყო საქართველოს მრავალ კუთხეში მოწყობილი გეოგრაფიული ექსპედიციების მონაწილე და ხელმძღვანელი, შესანიშნავი პიროვნება, გამოირჩეოდა უდიდესი პასუხისმგებლობითა და შრომისუნარიანობით, ოპტიმიზმითა და გულისხმიერებით. მოულოდნელად გამოაკლდა იგი ჩვენს რიგებს. განუხორციელებელი დარჩა ბევრი შემოქმედებითი ჩანაფიქრი. ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობა არასოდეს დაივიწყებს უდროოდ წასული მეგობრის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ალ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.

აბაქარ მაგომედოვი

კიდევ ერთი ბურჯი გამოეცალა ქართულ სამხედრო ავიაციას. აფხაზეთის ცაში დაიფერფლა ჭეშმარიტი რაინდის, ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილის ესკადრილიის მეთაურის აბაქარ მაგომედოვის სიცოცხლე.

წარმოშობით ლეკი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, ქართულ ადათ-წესებს შესისხლხორცებული, გაჭირვების ჟამს დაუყოვნებლივ ჩადგა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში.

აღარ გვყავს აბაქარი — კეთილშობილი და უდრეკი ხასიათის, მოკრძალებული პიროვნება, სულით ხორცამდე საქართველოს შვილი, უკანასკნელი მოჰიკანი ქართველ სამხედრო მფრინავთა უფროსი თაობისა, რომელიც უშურველად გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას და მაღალ პროფესიულ თვისებებს ახალგაზრდა მფრინავებს.

ძნელი გზა განვლო ცხოვრებაში, საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია. ხანდახან წამოსცდებოდა, რომ დავიღუპო, თუ ვინმეს გავახსენდებიო?!

მშვიდად იძინე, ძმაო! შენი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება შენი ახლობლებისა და თანამებრძოლების გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსი (გვარდია), საქართველოს ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილი.

ლალი მიქელაძე,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომელი

ღვაწლი კაცისა

მართალია, კარგა ხნის ამბავია, მაგრამ რაკი საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება გამოიწვია, ჩვენი სიტყვაც გვინდა ვთქვათ. საქმე ეხება ტელევიზიით პროგრამა „ნაშუადღევში" გადმოცემულ მცდარ ინფორმაციას მწერალთა სასახლის ისტორიაზე. ამ ინფორმაციას კომენტარების სახით დროულად გამოეხმაურნენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე ბატონები ლევან ციციშვილი, რევაზ კვერენჩხილაძე და გურამ ფანჯიკიძე, რომლებიც თავიანთი პოზიციებიდან გამოთქვამენ აზრს ამ ფაქტთან დაკავშირებით, რაც თავისთავად მისასალმებელია.

რაკი აღნიშნული საკითხი წამოიჭრა, ჩვენი ამოცანაა, როგორც ამ საქმის მკვლევარმა, საზოგადოებას ერთხელ კიდევ შევახსენოთ აკაკი ხოშტარიას ღვაწლი.

აკაკი ხოშტარიას სახელი ბედუკუღმართობისა თუ ისტორიული კატაკლიზმების გამო, სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი, თუმცა კი თავის დროს ილიამ აღტაცებითა და სიყვარულით უსახსოვრა ლექსების კრებული წარწერით, როგორც ჭეშმარიტ ქართველსა და საქმით პატრიოტს.

აკაკი ხოშტარიამ საინტერესო და რთული ცხოვრების გზა განვლო, მისი მთავარი სამრეწველო და სავაჭრო ასპარეზი ირანი იყო. იქ ჰქონდა საკუთარი რკინიგზა ორ დიდ ქალაქს შორის და მთელი ამ ტერიტორიების მიწები მის მფლობელობაში ითვლებოდა; ჰქონდა საპნის წარმოების მონოპოლია, თევზის სარეწები, ვაჭრობდა მატყლით ინგლისელებთან და, რაც მთავარია, იყო სპარსეთის ნავთობის კონცესიების მფლობელი, — მთელ მის ოპერაციებს ამიერკავკასიაში და სპარსეთში ხელმძღვანელობდა მისივე დაარსებული ფირმა „რუპენტო" («Русско-Персидская нефть. Товарищество»), რომლის პრეზიდენტიც თავად ბრძანდებოდა. ეს იყო ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი ფირმა, იმათ შორის, რომლებიც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ (აღნიშნული მასალები მოგვაწოდა კრიტიკოსმა ბატონმა გიორგი [illegible]ჩილაძემ, ამერიკაში მცხოვრე[illegible] აწ გარდაცვლილი ბატონი მე[illegible] კვიტაშვილის მოგონებები[illegible]).

აღნიშნულმა ფირმამ და კონსტანტინოპოლში დაარსებულმა ქართულ-სპარსულმა „ხოშტარიას ბანკმა" ურთულესი სავაჭრო ოპერაციებით მსოფლიოს წამყვანი ხელმწიფოების სავაჭრო წრეები დააინტერესა. აკაკის მფლობელობაში ითვლებოდა ბაქოს ნავთობის სარეწები, კასპიისპირა ქალაქ ენზელის ელექტროქსელი, თბილისის მექანიკური ქარხნები და სხვა მრავალი საწარმო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ქველმოქმედება და მეცენატობა. აკაკისთვის სამშობლოზე ზრუნვა უმთავრესი და უპირველესი მიზანი იყო. ქველმოქმედების სფეროში მთლიანად გამოვლინდა მისი, როგორც პიროვნების, ღირსებანი. ქველმოქმედებაში ხელს არ უშლიდა ის გარემოება, თუ სად ცხოვრობდა — მშობლიურ საქართველოში, ევროპაში თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მისი დაფინანსებითა და უშუალო ხელმძღვანელობით გაშენდა ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი, მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი, ახალი ათონის ცენტრალური პარკი...

აკაკი მამობრივ მზრუნველობას უწევდა ქართველ ახალგაზრდებს, რომლებსაც განათლების მიღება უნდოდათ, მაგრამ საამისო სახსარი არა ჰქონდათ. ბერლინისა და პარიზის უნივერსიტეტებში აკაკი ხოშტარიას პირადი ხარჯით სწავლობდნენ ქართველი სტუდენტები, რომელთაგანაც ბევრი შემდეგ ცნობილი მეცნიერი გახდა, მაგალითად, სერგი დანელია, მიხეილ საბახტარაშვილი, ცნობილი ინჟინრები ძმები მელიები, კუჭი ალანია, პლატონ კეშელავა და მრავალნი სხვანი.

აკაკიმ საფრანგეთში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ და პრესტიჟულ გალერეაში, მადლენის მოედანზე, რომელსაც „გალერი როზენბერგი" ერქვა და სადაც თავიანთი ტილოების გამოფენის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ისეთ ცნობილ მხატვრებს, როგორიც იყვნენ პიკასო, მატისი, დერენი, ბრაკი და კუბიზმის მთელი რიგი წარმომადგენლები, შეიძინა ჩვენი სასიქადულო კლასიკოსის ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის ანდრე ლოტის სურათები და საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. მანვე საქართველოში ახლად შექმნილ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბაქოდან გამოუგზავნა რვა ათასი მანეთი შემოწირულობა და იგი საზოგადოებამ თავის მზრუნველ წევრად აირჩია.

აკაკი ხოშტარიამ ნიკო ნიკოლაძის ინიციატივითა და თავისი ხარჯით გაიყვანა რკინიგზა ფოთსა და აბაშას შორის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 1922 წლის გენუის კონფერენციის საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლები პარიზში აკაკიმ დააფინანსა და გამოაწყო მთლიან ანტურაჟში.

მამულიშვილი

დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი აკაკი ხოშტარიას პიროვნებაზე, მის დიდ ეროვნულ საქმეებზე, პიროვნულ ღირსებებზე, იმაზე, თუ როგორ გამოირჩეოდნენ თვითონ და მისი ოჯახი უდიდესი კეთილშობილებით, სტუმართმოყვარეობით, ახლობლებისადმი ყურადღებით და მზრუნველობით.

ასეთი მოკლე ექსკურსის შემდეგ სასურველია ვისაუბროთ მწერალთა, ანუ ყოფილი ხელოვანთა სასახლის შექმნის ისტორიაზე. როგორც ოჯახური გადმოცემებითა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ვიცით, 1914 წელს თბილისელმა ქართველობამ საზღვარგარეთ მყოფ აკაკის შეატყობინა, რომ საჯარო აუქციონით უნდა გაყიდულიყო ცნობილი ქართველი კაპიტალისტისა და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი სერგიევის (ამჟამინდელ მაჩაბლის) ქუჩაზე და სთხოვა შეეძინა იგი. აღნიშნული შენობა სარაჯიშვილმა ააგო 1902 წელს. დავითის გარდაცვალების (1911 წ.) შემდეგ მის საქმეებს განაგებდნენ მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი და მისი ძმა ადამ ფორაქიშვილი. აღნიშნული შენობა, დავითის ანდერძის თანახმად, უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ქალაქის თვითმმართველობას, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეკატერინეს სიცოცხლეშივე აღნიშნული სახლი საჯაროდ უნდა გაყიდულიყო ოჯახის ხელმოკლეობის გამო.

ეროვნული ინტერესების შესაბამისად, თბილისის ქართველობას სურდა, რომ აღნიშნული შენობა, რომელიც თავისი ისტორიითა და არქიტექტურული მნიშვნელობით დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, დარჩენილიყო ქართველებისავე ხელში. მართლაც, ამავე წელს აკაკი ჩამოვიდა თბილისში და შეისყიდა ეს სახლი, შეუდგა მის რესტავრაციას და გადაკეთებას. რაც შეეხება „ჩალის ფასად" მის ყიდვას, როგორც გადმოცემული იყო ტელევიზიით, ეს ერთგვარ გაუგებრობას იწვევს, რამეთუ ფულის რაოდენობა არ იყო აკაკისათვის მთავარი, მისთვის ეროვნული ინტერესები ყოველთვის უფრო მაღლა იდგა. რასაც ქვემოთ დავრწმუნდებით. ბატონ რევაზ კვერენჩხილაძის მართებული შენიშვნით, „ჩალის ფასად" სახლის გაყიდვაში, ალბათ, უფრო, თუ შეიძლება ითქვას, დამნაშავენი გამოდიან დავით სარაჯიშვილის დები — ეკატერინე და მარიამი და, რაც მთავარია, მისი მეუღლის ძმა — ადამ ფორაქიშვილი, რომელმაც მოგვიანებით დავით სარაჯიშვილის პირადი ნივთები და საოჯახო სამუზეუმო ექსპონატები კერძო პირებს მიჰყიდა.

რაც შეეხება აკაკის მიერ შეძენილ სასახლეს, მისი რეკონსტრუქციის მიზნით მან იტალიიდან და გერმანიიდან ჩამოიყვანა მხატვრები, რესტავრატორები და 4 წლის მანძილზე მათ მთლიანად მოხატეს და გადააკეთეს მთელი სასახლე. აკაკიმ მოაწყო სასახლეში საზაფხულო და ზამთრის ბაღები, ვენეციიდან ჩამოატანინა ლომების და სხვა ცხოველთა ფიტულები, სპარსეთიდან — უნიკალური ხალიჩები, მრავალი ანტიკვარული ნივთი. 1919 წელს ახალ სასახლეში აკაკიმ გამართა დიდი ბანკეტი, რომელზეც თავი მოიყარა ქართულ საზოგადოებას.

მოგვიანებით, როდესაც აკაკიმ საბოლოოდ გადაწყვიტა საფრანგეთში ემიგრაციაში გამგზავრება, ოჯახური გადმოცემის თანახმად, მან თავისი ახლო ნათესავის მწერალ დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარიას) პირით გადასცა პაოლო იაშვილს თავისი სურვილი, რომ იგი თავის სასახლეს, იქ დაცულ უძრავ-მოძრავ ქონებასთან და ძვირფას ანტიკვარულ ნივთებთან ერთად საჩუქრად უტოვებს ქართველ მწერლებს, რათა იქ მოწყობილიყო ხელოვანთა სასახლე. ასეც მოხდა.

ეს დასტურდება ოფიციალური დოკუმენტით, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, ფონდი № 8, 1921 წ. აღწ. № 1.

საქართველოს რევკომის მომართვა ხოშტარიას სახლის საქართველოს მწერალთა კავშირისათვის გადაცემის შესახებ.

1921 წ., 28 თებერვალი ქ. თბილისი, სასახლე, საქმე № 174.

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს

რევოლუციონერი რევკომის დადგენილებით ხოშტარიას სახლი, რომელიც იმყოფება სერგიევის ქუჩაზე, გადაცემულია საქართველოს მწერალთა კავშირისათვის, რათა იქ მოწყობილ იქნეს ხელოვანთა სასახლე. ეს ბინა განთავისუფლებულია რეკვიზიციისა, ჩასახლებისა და შეზღუდვისაგან.

თავმჯდომარე: (შალვა ელიავა)
მდივანი: (შ. მიქაძე)"

ამ იურიდიულ დოკუმენტთან ერთად არსებობს აკაკის მიერ სასახლეში საჩუქრად დატოვებული უძვირფასესი ანტიკვარული ნივთების სია — ოფიციალური დოკუმენტის სახით.

ნივთების საინვენტარიზაციო ნუსხას ხელს აწერენ ფრიად ავტორიტეტული პირები: დიმიტრი შევარდნაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი და შალვა ამირანაშვილი, რომლებიც შედიოდნენ საქართველოს ეროვნული გალერეის სამხატვრო საბჭოში.

ჩვენდა სამწუხაროდ, აღნიშნული სამუზეუმო ნივთები, რომელთა ნუსხაც თითქმის მთელ საქაღალდეს იტევს, კერძო პირებმა მიითვისეს.

მოგვიანებით, მეუღლის — მინადორა თურქიას გარდაცვალების შემდეგ, 1924 წ. 24 დეკემბერს უკვე საფრანგეთში მყოფმა აკაკი ხოშტარიამ თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს, რომ მისთვის დაებრუნებინათ მეუღლის პირადი ნივთები და ფოტოსურათები, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, აღარავის დაუბრუნებია...

წერილის მიზანი იყო მოკლედ გაგვეცნო მკითხველისთვის აკაკი ხოშტარიას ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტები, რომლებიც უშუალოდ შეეხება მწერალთა ანუ ხელოვანთა სასახლის შექმნას, მის დიდ მამულიშვილურ დამოკიდებულებას ეროვნული საქმისადმი. მისი სახელი 20-იანი წლების დამდეგს და მოგვიანებითაც გარკვეული მიზეზების გამო მიჩქმალული იყო. ჩვენი აზრით, დადგა დრო, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და აკაკი ხოშტარიას, როგორც ჩინებულ მამულიშვილს, სათანადო პატივი მივაგოთ. მას ღირსეული ადგილი უკავია ცნობილი ქველმოქმედებისა და მეცენატების ზუბალაშვილებისა და სარაჯიშვილის გვერდით.

ჩვენს გასაჭირზე

„წისქვილი მისთანა ადგილია..."

ნანა სულავა

— **ჩემს** თავს არ დავეძებ, სახლში ლტოლვილები მყავს, ცოტაოდენის დაფქვა მაინც მომესწრო, — სიმწრისგან ცრემლს ვეღარ იკავებდა ქალი და ნერვიულად ისწორებდა მხრებზე ჩამოცურებულ თავსაფარს. დენგამორთულ წისქვილში თანდათან მატულობდა ჩოჩქოლი.

— ეს არის საქმე, ამ საახალწლოდ მაინც მოეცათ სულის მოთქმის საშუალება! — მუშტს ურტყამდა სიმინდის ტომარას ჩია ბერიკაცი.

— პური არა, სინათლე არა, გაზი არა, ტრანსპორტი არა...

კაცო, მარტვილელი ტყუილად ხარ? — ვიღაცას კიდევ ჰქონდა ხუმრობის თავი.

— შენ რა გენაღვლება, ცალი ფეხი ქალაქში გაქვს და აქაურ გაჭირვებას ცალი თვალით უყურებ.

— ქალაქში, თორემ სამოთხეა იქ, არ გინახავთ ტელევიზორში?..

— ტელევიზორი?! სწორედ მაგის ყურებაში ჩამძინებოდა წუხელ... ჩაბნელებულ ტელევიზორში რომ რაიმეს ნახვა შეიძლებოდეს, მაშინ ხომ ეს წისქვილიც დაფქვავდა უდენოდ. გაზეთი არაა და რადიო, ამას ვიღა დაეძებს, საავადმყოფოც დახურეს, არ თბება, რომ მოკვდე, კაცი არაა პატრონი. არანაირი ტრანსპორტი, არანაირი იმედი... ძარცვა, ყაჩაღობა. რაიკომის შენობა დაწვეს, გამგებელმა რა უნდა განაგოს, პროკურატურა და მილიცია გადაბუგულია, სამართალს და წესრიგს არავინ იცავს, შენობა აღარ დატოვეს რაიცენტრში, ყველაფერი გააპარტახეს, ერთი ყოფილი აღმასკომი დარჩათ და ისიც თუ გადაწვეს, მოუწევს გამგებელს რეზიდენციის საკუთარ სახლში მოწყობა. წელში გაწყდა ხალხი, ათასობით ლტოლვილს მასპინძლობს რაიონი.

— დაიშალეთ, ხალხო, არ იქნება დენი, წადით, აქ ხომ არ შეხვდებით ახალ წელს, — ცხარობდა მეწისქვილე.

ჯერ არავინ აპირებდა დაშლას, მაგრამ მერე გათოშილები ზლაზვნით გაუყვნენ გზას, გაუკვალავი თოვლის ჭრაჭუნი და ძაღლების გაბმული ყეფა ისმოდა მხოლოდ.

მეწისქვილემ ხმაურით მიიხურა. დადუმებული წისქვილის კარი და ბუზღუნით დაედევნა ტომარაწამოკიდებულ თანასოფლელებს.

დათა თუთაშხიასა და ბონის დიალოგი გამახსენდა უნებურად. „წისქვილი მისთანა ადგილია, ფიქრობსო კაცი სულ".

მართლაც რას არ ფიქრობს აქ კაცი!..

ბნელოდა სოფელში... უჩვეულოდ ხვდებოდნენ მარტვილელები ახალ წელს.

ჭადრაკი

„ივერიის თასი" — გიორგი თუხარელს

თბილისის ჟურნალისტის სახლში დამთავრდა „ივერიის თასის" გათამაშება მოკლე ნარდში. 32 მონაწილეს შორის პირველი ადგილი და 30 000 მანეთი მოიპოვა დედაქალაქელმა გიორგი თუხარელმა, რომელმაც ფინალში ანგარიშით 21:6 დაამარცხა თანამოქალაქე თამაზ ნანიტაშვილი. ტურნირის მესამე პრიზიორი გახდა გორელი ბექან უტინაშვილი.

ლიდერთა ტრიო

4 ტური გათამაშდა თბილისის ქალთა ჩემპიონატში, რომელსაც ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს. სატურნირო ცხრილის სათავეშია ლიდერთა ტრიო მაია ლომინეიშვილის, მაია გრიგალაშვილისა და ირანდა ხორავას შემადგენლობით. თითოეულმა მათგანმა 3,5 ქულა მოაგროვა.

მეოთხე ტურის ცენტრალური პარტია ლომინეიშვილსა და გრიგალაშვილს შორის ყაიმით დასრულდა. ასპარეზობა შვეიცარული სისტემით — 9 ტურად ეწყობა.

შორტი დაწინაურდა

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ვაჟთა ფინალური მატჩის მეცხრე პარტია ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა მოუგო ჰოლანდიელ იან ტიმანს და დაწინაურდა — 5:4.

ესპანეთში მეტოქენი კიდევ ხუთ პარტიას გამართავენ.

ფავორიტები წინ მიიწევენ

რამდენიმე სასტარტო სენსაციის შემდეგ ჩოგბურთელთა ავსტრალიის ღია ჩემპიონატში ყველაფერი კალაპოტში დგება.

სხვებთან ერთად ვაჟთა ტურნირის მეოთხედფინალში ითამაშებენ ამერიკელი ჯიმ კურიე, შვედი სტეფან ედბერგი, გერმანელი მიქაელ შტიჰი, ფრანგი გიიომ რაული? ფორჟე და ესპანელი სერხიო ბრუგეირა.

ქალთა შორის მთავარი პრიზისათვის ბრძოლას განაგრძობენ იუგოსლავი მონიკა სელეში, არგენტინელი გაბრიელა საბატინი, გერმანელი შტეფი გრაფი, ესპანელი არანტა სანჩესი, ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი და სხვები.

განახლდა შესარჩევი თამაშები

განახლდა ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

ევროპის I ჯგუფის მორიგი შეხვედრა მალტის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე წააგო პორტუგალიელებთან — 0:1.

მსოფლიო რეკორდი პლუს ნახევარი მილიონი

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტის ქუჩებში გამართული ტრადიციული მარათონის მსოფლიოს ახალი რეკორდით — 27 წუთი და 40 წამი — მოიგო ეთიოპიელმა ადის აბებემ.

მას გადაეცა ნახევარი მილიონი დოლარის ქვითარი.

სრულიად საქართველოს პატრიოტული საზოგადოება „ქართველ შევარდენთა ლეგიონის" სამხედრო საბჭოს

განცხადება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის (ეროვნული გვარდია) შემადგენლობას შეემატა ცალკეული მედესანტე-მოიერიშეთა შენაერთი — „ქართველ შევარდენთა ლეგიონი".

ვისაც გსურთ გახდეთ ლეგიონერთა სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების მემკვიდრენი, სამშობლოს დაცვა პროფესიად გაიხადოთ, მობრძანდით ჩვენთან!

ველით ოფიცრებს, სამხედრო სპეციალისტებს, ინსტრუქტორებს, სპორტსმენებს, სადესანტო და სპეციალური დანიშნულების სამხედრო შენაერთებში ნამსახურებ პირებს.

სამსახურის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

გარდა არსებული შეღავათებისა, ჩვენს მებრძოლთ მიეცემათ მაღალი ხელფასი, ხოლო უბინაონი შესაბამისი ვადის შემდეგ, უზრუნველყოფილნი იქნებიან საცხოვრებელი ფართობით, ცოლშვილიანები კი დაბინავდებიან ოჯახურ საერთო საცხოვრებლებში სამსახურის დაწყებისთანავე.

შენაერთის მუდმივი ბაზირების ადგილია ქ. თბილისი.

ცნობებისთვის მიმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №148-ა, ტელეფონი 96-78-08.

სამედიცინო კოოპერატივი „პულსი"

ცნობილი მანუალური თერაპევტი ექიმი — სოსო ფირცხალაიშვილი

წარმატებით მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (ტკივილები, მოძრაობის შეზღუდვა ხერხემალში), რადიკულიტებს, ხერხემლის არტერიის სინდრომს, იშიაზს, ნერვზე ზეწოლის სინდრომს, აგრეთვე — ხერხემლის გამრუდებებს (სკოლიოზი, კიფოზი), ტანადობის დარღვევებს.

მანუალური თერაპია აუმჯობესებს ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას, ამაღლებს შრომისუნარიანობას, ამდენად იგი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვისაც.

მისამართი: დ. აღმაშენებლის 60 (მე-3 საავადმყოფოს ტერიტორია). კოოპერატივი „პულსი". ტელ.: 95-56-02. ექიმის ბინის ტელეფონი: 66-58-56. ყოველდღე 11-იდან 17 საათამდე.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.